აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№18 (25.196) 16 მაისი, 2025 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, მთიან რაიონებში - 18-23, მაღალ მთაში - 1-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

პრემიერის ვიზიტი – ბათუმში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ პარტიულ აქტივთან შეხვედრა გამართა, რომელსაც პარტიის ლიდერები და პოლიტსაბჭოს წევრები ესწრებოდნენ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი „ქართული ოცნების“ პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ოფიციალურად აირჩიეს

- გაიმართა შეხვედრა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ლიდერებთან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მთავარი მიზანი იყო ჩვენი პარტიის წევრების წინაშე ბატონი სულხან თამაზაშვილის წარდგენა. როგორც მოგეხსენებათ, მან დაიკავა როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ისე ჩვენი აჭარის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანმდებობა და ის წარვადგინეთ ჩვენი პარტიის წევრების წინაშე. კიდევ ერთხელ ვუსურვეთ წარმატებები. დარწმუნებული ვარ, ბატონი სულხანის საქმიანობა ორივე პოზიციაზე იქნება ძალიან წარმატებული. ის არის ძალიან ღირსეული ადამიანი, ძალიან დიდი გამოცდილებით და კვალიფიკაციით. შესაბამისად, ის იქნება ძალიან წარმატებული როგორც მთავრობის, ისე ჩვენი პარტორგანიზაციის თავმჯდომარე, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. პრემიერმა, ჟურნალისტებთან, ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა. თქვა, რომ ეს არის აბსოლუტურად ჯანსაღი მოვლენა და როტაცია.

- როტაცია არის აბსოლუტურად ნორმალური, ჯანსაღი მოვლენა. მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო თორნიკე რიუვაძეს იმ საქმიანობისთვის, რომელსაც ის ახორციელებდა ბევრი წლის განმავლობაში როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებისთვის, ისე ჩვენი პარტიული ამოცანების მისაღწევად. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ ყველაფერში და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ჩვენ ვემზადებით, მათ შორის, არჩევნებისთვის და ამ კუთხით ბუნებრივია, გვაქვს სერიოზული სამზადისი, რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, ეს არის აბსოლუტურად ჯანსაღი მოვლენა. ასეთი რამ მომხდარა წარსულშიც და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი რესურსების გაძლიერებას იწვევს ხოლმე ასეთი ცვლილებები. მერებმა მიიღეს გადადგომის გადაწყვეტილება. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ არის მოახლოებული არჩევნები და შესაძლოა, ამ დროს მათ ჩათვალეს ყველაზე მიზანშეწონილად ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ამას გაგებით ვეკიდებით და მზად ვართ ყველა მუნიციპალიტეტში. აქტიურად ვემზადებით არჩევნებისთვის და 64-ვე მუნიციპალიტეტში, მათ შორის აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში აუცილებლად მოვიგებთ როგორც მერის, ისე საკრებულოს არჩევნებს, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მანანა ტაკიძე

საქართველოს ჩემპიონატს ჭადრაკში ბათუმმა უმასპინძლა

აჭარამ სამი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე 5-დან 14 მაისის ჩათვლით მასპინძლობდა

ტურნირი საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით ჩატარდა, მისი მხარდამჭერები კი იყვნენ: საქართველოს სპორტის სამინისტრო, აჭარის სპორტის დეპარტამენტი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, სასტუმროები - „იბის სტაილს ბათუმი“, „ჩაო“, „კალასი“.

საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში (8, 10, 12, 14, 16, 18 წლამდე ასაკის ჭაბუკები და გოგონები) საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსული 300-მდე მოჭადრაკე იბრძოდა. ტურნირი ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, 16 და 18 წლამდე გოგონათა შორის კი წრიული სისტემით და ასევე 9 ტურად. 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის ფიდეს რეიტინგი დაითვალა.

აჭარიდან დაახლოებით, 30-მდე მოჭადრაკე ასპარეზობდა. სამმა გოგონამ სამი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა. 16 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი, 9-დან 8 ქულით, მარიამ კალანდაძე გახდა (ბათუმი, მწვრთნელი - დავით ჯოჯუა), ვერცხლს 9-დან 7,5 ქულით მარიამ ცეცხლაძე დაეუფლა (ბათუმი, მწვრთნელი - დავით მაღალაშვილი), ბრინჯაო კი, 9-დან 6,5 ქულით 18 წლამდე გოგონათა შორის მოასპარეზე ლულუ დიასამიძემ დაისაკუთრა (ქობულეთი, მწვრთნელი - გიგა ყუფარაძე).

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ონიანი (ტყიბული), ნუკი ხუსკივაძე (ზესტაფონი), ანდრია ჯახაია (ზუგდიდი), მარიამ რეხვიაშვილი (თბილისი), გიორგი წულაია (ფოთი), მარიამ გიორგაძე (ქუთაისი), გაბრიელ გაბადაძე (ქუთაისი), ბარბარე აშოთია (ქუთაისი), ერეკლე ტაბატაძე (თბილისი), დანიელ საფაროვი (თბილისი), მარიამ გვათუა (თბილისი).

პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკეები თასით, მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს კი მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა (შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში) მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს. 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის პირველ ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა, დამატებით, ფიდეს მსოფლიო თასის (შესაბამისი ასაკის) საგზურიც დაისაკუთრეს, რომელსაც ბათუმი 22 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით უმასპინძლებს.

იხ. გვ-9 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მმართველი გუნდის პასუხი აშშ-ს და ოპოზიციის სამაისო გეგმები

მიმდინარე წლის 13 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპს და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯეი დი ვენსს ღია წერილით მიმართა, რომელშიც ხაზგასმით საუბრობს საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობაზე, ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულ სანქციებზე, „მეგობარ აქტსა“ და „დიფ სთეითზე“

პრემიერი წერს, რომ „დიფ სთეითისგან“ დაფინანსებული, რევოლუციის მოსურნე 250-მდე ადამიანი ყოველდღე იკრიბება რუსთაველის გამზირზე.

„ბოლოდროინდელი მოვლენები ქართულ საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ განცხადებები „დიფ სთეითის“ დამარცხების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელის რებრენდინგის მცდელობაა და სხვა არაფერი. ხალხისთვის გასაკვირია, რომ თქვენ ბაიდენის გადაწყვეტილებებს მკაცრად აკრიტიკებთ, მაგრამ მის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს დღემდე არ ასწორებთ.

თუმცა, ჩვენი ხელისუფლება საჯარო განცხადებებში კვლავაც გამოხატავს ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი ადმინისტრაცია „დიფ სთეითის“ დამარცხებას რეალურად შეძლებს, რაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვაზე და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენაზე უსათუოდ აისახება. რეალურადაც, ამის ძალზე დიდი იმედი გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავაც გაგრძელდება ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში დაგეგმილი რევოლუციური სცენარის მოქმედება. შეგახსენებთ, რომ USAID-ისა და NED-ის მიერ დატრენინგებული და დაფინანსებული 250-მდე ადამიანი დღემდე ყოველდღიურად იკრიბება ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ „დიფ სთეითს“ რევოლუციის გეგმა თაროზე ჯერაც არ შემოუდია“, - წერს კობახიძე წერილში.

პრემიერი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ ტრამპის ადმინისტრაციასთან კონტაქტი უკვე რამდენჯერმე სცადა, თუმცა ამ მცდელობებს პასუხი არ მოჰყოლია.

კობახიძის ღია წერილი განხილვის თემად იქცა პოლიტიკურ სპექტრში.

კოალიცია „ცვლილებისთვის“ წევრ გიორგი ბუტიკაშვილის თქმით, ეს ღია წერილი ერთგვარი ხვეწნაა ტრამპის მიმართ.

„ღია წერილი არის სასაცილო ბევრი კუთხით და ბევრი გაგებით. ეხვეწება, ფაქტობრივად, ტრამპს, რომ შეიმჩნიოს კობახიძე. ისინი, ერთი მხრივ, ავრცელებენ, რომ თითქოს მათი ვიზიტი ამერიკაში იყო წარმატებული, თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ატყუებდნენ საზოგადოებას და დღეს ვხედავთ ღია წერილს, რომელშიც კობახიძე იმას ამბობს, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ელაპარაკება ბევრად უფრო რთულ ავტორიტარულ სახელმწიფოებსაც და საქართველოსთან რეაქციაც არ აქვს“, - ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ბუტიკაშვილი.

მმართველ პარტიაში კი მიიჩნევენ, რომ წერილი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და კარგი იქნება, თუ მასში მოხმობილ ყველა საკითხს აშშ-ის მხრიდან სათანადო პასუხი გაეცემა.

„ბუნებრივია, კითხვის ნიშნები ჩნდება, თუ რატომ არ ექცევა შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის მხრიდან სათანადო ყურადღება იმ ქვეყანას, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ აშკარად უსამართლოდ იყო დაჩაგრული. ცხადია, ჩვენ ამ პარტნიორული ურთიერთობის ჭრილში მოველით რეალურ ნაბიჯებს შეერთებული შტატებისგან და ეს ნაბიჯები რომ აგვიანებს, ცხადია, ეს ყველაფერი კითხვის ნიშნებს იწვევს. წერილი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ბუნებრივია, დიპლომატიური ურთიერთობებისთვის ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება, თუკი ამ ყველაფერს სათანადო პასუხი გაეცემა“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ წევრმა დავით მათიკაშვილმა.

არ ცხრება ინტერესი „მეგობარი აქტისადმი“. 14 მაისს საქართველოს პარლამენტმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ ე.წ. მეგობარ აქტთან დაკავშირებით განცხადება მოამზადა, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს წარუდგინა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ე.წ. მეგობარი აქტი სამ ძირითად ცრუ ბრალდებას ეფუძნება და საგანგებო ანალიზს არ საჭიროებს, რადგან მასში ნათლად იკითხება მტრული სულისკვეთება საქართველოს, ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომ არაფერი ითქვას იმაზე, რომ ეს აქტი ტექნიკურადაც კი გაუმართავია, ამასთან, განცხადების მიხედვით, საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან ყველა საკითხზე, რომელთა გადაწყვეტამ შეიძლება, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები გააუმჯობესოს.

შალვა პაპუაშვილის თქმით, აღნიშნული აქტი ყველაფერია გარდა მეგობრობისა.

„მინდა აღვნიშნო, რომ ე.წ. მეგობარი აქტი, რომელსაც თავად შეუცვალეს სახელი, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი იყო, გარდა მეგობრობისა, დაფუძნებულია არა მხოლოდ მცდარ ფაქტებზე, არამედ თავისი არსით არის იმ რეალობის ამოყირავება, რაც სინამდვილეში საქართველოშია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, ყველას ვაჩვენოთ, როგორია რეალობა არგუმენტებსა და მყარ ფაქტებზე დაყრდნობით, ასევე, გავაკეთოთ შეფასება, რადგან ეს ეწინააღმდეგება მეგობრობის ყოველგვარ გაგებას, რაც ჩვენ ვნახეთ წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული ე.წ. მეგობარი აქტის სახით“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ოპოზიციაში კი მიაჩნიათ, რომ მმართველი გუნდისგან გადადგმული ნაბიჯი უშედეგო იქნება.

„მეგობარი აქტის“ შინაარსი ესადაგება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, შესაბამისად, პაპუაშვილის არალეგიტიმური პარლამენტის მიერ მიღებული ინიციატივა ან კანონი ან რომელიმე საპასუხო რეაქცია, საერთოდ არ არის ყურადღების ღირსი“, - განაცხადა მედიასთან საუბარში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა გიორგი კაპანაძემ.

კვლავ განხილვის თემაა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის მიერ დაანონსებული, 26 მაისს, დიდი შეკრება. სალომე ზურაბიშვილის თაოსნობით შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც საზოგადოებრივი მოძრაობები, სტუდენტები, პოლიტიკური პარტიები, კულტურის სფეროს, წინააღმდეგობის პლატფორმის წარმომადგენლები და აქციებში მონაწილე აქტივისტები ერთიანდებიან. 26 მაისს, სალომე ზურაბიშვილის მოწვევით, თბილისში ევროპარლამენტარებს და ამერიკელ პოლიტიკოსებს ელოდებიან. ზურაბიშვილმა პარტნიორებს მოუწოდა, დამოუკიდებლობის დღე რუსთაველის გამზირზე მათთან ერთად აღნიშნონ.

„გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც ყველამ, ვინც იყო, ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ ჩავიბაროთ 26 მაისი. ჩავიბაროთ 26 მაისი ნიშნავს, რომ - პარტიები, საზოგადოება, არასამთავრობოები, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლები, ბიზნესი იქნება თუ კულტურა - ყველა ერთად, საქართველოს ყველა მოქალაქე ჩავიბარებთ 26 მაისს“, - თქვა ზურაბიშვილმა ბრიფინგზე.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ შეკრებას უერთდება „ლელო - ძლიერი საქართველო“, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, კოალიცია „ცვლილებისთვის“ და პარტია „საქართველოსთვის“.

მმართველ გუნდში სალომე ზურაბიშვილს აფრთხილებენ და აღნიშნავენ, რომ მისი გეგმა დესტრუქციულია.

„სალომე ზურაბიშვილი აღლუმს ალბათ ჩაიბარებს ალეკო ელისაშვილისგან, ეს იქნება ერთადერთი, რაც მან შეიძლება, ჩაიბაროს. რაც შეეხება 26 მაისს, 26 მაისი წარიმართება ისე, როგორც უნდა წარიმართოს. ჩვენ გვაქვს სათანადო ღონისძიებები დაგეგმილი ზუსტად იმავე ფორმატში, რა ფორმატითაც იმართებოდა ეს ღონისძიებები წინა წლებში. რა თქმა უნდა, ოპოზიციის არავითარ გეგმას განხორციელება არ უწერია. მკაფიო გაფრთხილებაა როგორც სალომე ზურაბიშვილის, ისე სხვა „ნაციონალებისთვის“ ფეხი არ დაუცდეთ“, - აღნიშნა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ მედიასთან საუბარში.

რაც შეეხება ოპოზიციას, პარტია „გირჩში“ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას სკეპტიკურად უყურებენ და აღნიშნავენ, რომ ის ამ ინიციატივით ერთობა.

„სალომე ზურაბიშვილს აქამდე ბევრი ინიციატივა გააჩნდა, მაგრამ არცერთი დამთავრებულა წარმატებით იმ ხალხისთვის, რომელებსაც ხელისუფლების ცვლილება უნდათ. შესაბამისად, მგონია, რომ უბრალოდ, ქალბატონი სალომე გავიდა პენსიაზე და ერთობა, როგორც შეუძლია“, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პარტია „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ.

პარტია „ლელოში“ ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილს 26 მაისის აღნიშვნა არავისთვის წაურთმევია.

„სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ლეგიტიმური პრეზიდენტია, ეუბნება ყველა ადამიანს, რომ მათ შეუძლიათ, მოვიდნენ რუსთაველზე და შეუერთდნენ საერთო-სახალხო აღნიშვნას, რომელიც 26 მაისს გაიმართება. დღეს თუ ვინმეს მისაკუთრებული აქვს სახელმწიფო თავისი 26 მაისით თუ ყველა სხვა ინსტიტუტით, ეს „ქართული ოცნებაა“. სალომე ზურაბიშვილს არავისთვის არაფერი მოუტაცებია და წაურთმევია, უბრალოდ, ის ეუბნება ადამიანებს, რომ ჩვენ გვაქვს კარგი შანსი ერთად აღვნიშნოთ ეს მნიშვნელოვანი, ეროვნული დღე“, - აღნიშნა პარტია „ლელო - ძლიერი საქართველოს“ წევრმა გრიგოლ გეგელიამ.

თამარ ლამპარაძე

ქრონიკა

ბათუმის მერმა თანამდებობა დატოვა, ამის შესახებ ჩიქოვანმა სოციალურ ქსელში დაწერა. „მივიღე გადაწყვეტილება ბათუმის მერის თანამდებობის დატოვების შესახებ. ქალაქის ხელმძღვანელად ყოფნა იყო დიდი პატივი და მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმელებს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის, მადლობა იმ გუნდს, რომელთან ერთადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო „ქართული ოცნების“ დიდ ოჯახს და, რა თქმა უნდა, ვრჩები ამ გუნდის ერთგულ წევრად“, - წერს ჩიქოვანი საკუთარ ფეისბუქზე.

* * *

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას გიორგი მურვანიძე დაიკავებს, რომელიც აქამდე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა არჩილ ჩიქოვანს გაწეული სამუშაოსთვის და გიორგი მურვანიძეს ახალ პოზიციაზე წარმატებები უსურვა. გიორგი მურვანიძე პროფესიით სამართალმცოდნეა, მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხი. დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურა - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე.

* * *

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მურვანიძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძეს და წარმომადგენლობითი ორგანოს უმრავლესობის წევრებს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ქალაქში არსებულ სხვადასხვა სახის გამოწვევებსა და მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე ისაუბრეს. გიორგი მურვანიძემ მზაობა გამოთქვა, მხარი დაუჭიროს საკრებულოს წევრების ყველა მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული. გიორგი მურვანიძე მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელებმა მერის მოვალეობის შემსრულებელს მიმდინარე პროექტებზე, პროგრამებსა და სამოქმედო მიმართულებებზე მიაწოდეს ინფორმაცია, განიხილეს სამომავლო გეგმები და ინიციატივები, რომლებიც მოქალაქეთა საჭიროებებს ითვალისწინებს.

* * *

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის შემდეგ, თანამდებობა ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემაც დატოვა. ლევან ზოიძე პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა. ის ამ პოზიციაზე 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ იყო.

* * *

ქობულეთის მერის მოვალეობას პროფესიით ეკონომისტი ირაკლი ცეცხლაძე შეასრულებს. იგი 2024 წლის ივლისში ქობულეთის ვიცე-მერად დაინიშნა. 2005-2024 წლის 30 ივლისამდე კი შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი იყო. როგორც ცნობილია, ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ 14 მაისს განაცხადა. „მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო ქობულეთის მერის თანამდებობა. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო ამ ქალაქის ხელმძღვანელობა და მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალურად გადაწყვეტა. მადლობას ვუხდი ქობულეთელებს მხარდაჭერისთვის და ერთგულებისთვის. ასევე, მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც გვერდში გვედგნენ ჩვენი მხარის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი „ქართულ ოცნებას“ და რა თქმა უნდა, ვრჩები ამ გუნდის ერთგულ წევრად,“ - დაწერა მან „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

* * *

ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე კვლავ აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეა. ცვლილება მას შემდეგ განხორციელდა, რაც ბათუმის უკვე ყოფილმა მერმა არჩილ ჩიქოვანმა თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. ლელა სურმანიძე მერის მოადგილედ, ლაშა კომახაძის მერობის დროს, 2017 წელს დაინიშნა. იგი იმ პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობდა. როგორც მაშინ განაცხადეს, ლელა სურმანიძე ამ თანამდებობაზე თავისი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მიხედვით შეირჩა.

„უკრაინა ამ დროისთვის არის ერთადერთი გარანტი ევროპის, განსაკუთრებით კი საქართველოს და მოლდოვის უსაფრთხოების კუთხით“

დაძაბული პოლიტიკური ვითარება, ბუნებრივია, ქართული საზოგადოების შეშფოთებას იწვევს და ეს არცაა გასაკვირი, არასტაბილური პოლიტიკური გარემო ქვეყანას და მოსახლეობას აზარალებს. როგორ რეაგირებს ამაზე ოპოზიცია და მმართველი გუნდი? ხელისუფლების მტკიცებით, ოპოზიციის ძირითადი ნაწილი დესტრუქციული ძალაა, თავის მხრივ, ოპოზიცია ხელისუფლების წარმომადგენლებს ადანაშაულებს, ძირითადად, ანტიდემოკრატიულ ქმედებებში და აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დიქტატურა მყარდება. ისიც ცხადია, რომ თუ მმართველი პარტია და ოპოზიცია ვერ შეთანხმდებიან, პოლიტიკური კრიზისი გაგრძელდება, რაც, უპირველესად, ქვეყნისთვის იქნება საგალალო

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთისგან საფრთხე ყოველთვის არსებობდა და არსებობს, განსაკუთრებით, ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე... ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) დოქტორანტი ***კობა ჯუმუშაძე.***

- თავდაპირველად საშინაო პოლიტიკაზე ვისაუბროთ: როგორია თქვენი აზრი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?

- ქვეყანა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, სახელმწიფო, ისევ ღრმა პოლიტიკურ კრიზისშია. ამ კრიზისის წარმოშობასა და გაგრძობით ხასიათზე პარტია „ქართული ოცნებაა“ პასუხისმგებელი, რომელსაც უკვე მეოთხე (ხაზი გავუსვათ - მეოთხე) ლეგისლატიური, იგივე საპარლამენტო პერიოდის მართვაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ ფაქტია, რომ მან, როგორც პარტიამ, მინიმუმ, 2020 წლისთვის, ორი ლეგისლატიური პერიოდის განმავლობაში, სრულად ამოწურა ყველა რესურსი, რომელიც სახელმწიფოს შენარჩუნების მიმართულებით იქნებოდა მართებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პარტიის იდეური სულისკვეთება 2020 წლამდეც, გავიხსენოთ „გავრილოვის ღამე“, თვალნათლივ წარმოჩინდა. ეს ღამე უკვე იყო ერთგვარი სიგნალი საიმისოდ, რომ აღნიშნული კრიზისის მსგავსი კრიზისები გარდაუვალი იქნებოდა, თუ სახელმწიფოს მართვის საკითხებში პასუხისმგებლობა არ გადანაწილდებოდა სხვა პარტიებზეც. ასე არ მოხდა არც 2020 წლის და, მით უმეტეს, არც 2024 წლის არჩევნებზე. შესაბამისად, ეს ყველაფერი უკვე დღითი დღე დამანგრევლად მოქმედებს სახელმწიფოს და რეალური სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფაქტია: ახლანდელი ეგრეთ წოდებული მმართველი პარტია რეალურ სუვერენიტეტს და კონსტიტუციისადმი ერთგულებას უგულებელყოფს და თმობს მას კრემლის ინტერესების სასარგებლოდ. სუვერენიტეტს როცა ვახსენებთ, უნდა აღინიშნოს შემდეგიც: პოლიტიკის მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ ამა თუ იმ კავშირის, გაერთიანების წევრობა, რა თქმა უნდა, უკვე ნიშნავს სუვერენიტეტის რაღაც კონკრეტული, სახელშეკრულებო დათქმებით გამყარებული ნაწილის დათმობას, თუმცა ერთია ამ სუვერენულობას თმობდე ათწლეულების განმავლობაში წარმატებულად მზარდი და პოლიტიკური თამაშის წესებზე უკვე კონკრეტულად შეთანხმებული კავშირის წინაშე და მეორეა, ეს სუვერენულობა დათმო კრემლის წინაშე, რომელიც დაპყრობითი ომების გარდა, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს და რომლისთვისაც ისეთი ცნებები, როგორებიცაა ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართალი და, ზოგადად, სამართლიანობა, აბსოლუტურად უცხოა! ამ პროცესს ვადევნებთ დღეს ჩვენ ქვეყანაში თვალს და, ფაქტობრივად, ავტორიტარიზმის დანერგვა-განმტკიცების დაახლოებით შუა ფაზაში ვართ.

- როგორც ცნობილია, ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, თავის მხრივ, ისინი ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბრობენ, თქვენი აზრი ამის შესახებ...

- მოცემულ ვითარებაში ოპოზიციის კრიტიკა ეგრეთ წოდებული ხელისუფლებისადმი სამართლიანია. ზოგადად, ოპოზიცია არ არის სახელმწიფოს მართვისგან განყენებული მოცემულობა. მკვიდრად ნაშენები დემოკრატიის მქონე ქვეყნებში ოპოზიცია სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პროცესების მართებულობაზე თითქმის ისევეა პასუხისმგებელი, როგორც ხელისუფლება, თუმცა იმდენად, რამდენადაც სახეზე გვაქვს დემოკრატიული სახელმწიფოს მშვნებლობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ქვაკუთხედის, კერძოდ, არჩევნების, სხვადასხვა მანიპულაციური გზით მითვისების საკმაოდ კონკრეტული მოცემულობა (ეს არ არის მოსაზრება, ეს წერია ეუთო/ოდირის დასკვნაშიც), შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის დადანაშაულების კუთხით საუბრის წაყვანა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე არამართებულია. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მხრიდან ცნება „დესტრუქციულის“ გამოყენებას, რომელსაც მოსდევს სიტყვათშეთანხმება „კოლექტიური ნაცმოძრაობა“ და სხვა, არის გათვლა, იმოქმედონ პოლიტიკისგან დაღლილ ისტებლიშმენტზე. პოლიტიკით აქტიურად დაინტერესებულ და გათვითცნობიერებულ მოქალაქეზე ასეთი ცნებები ვერ ახდენს დიდ გავლენას. ეს ასეა თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგივე „დესტრუქციული კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ყოფილი მაღალჩინოსნების ხელშესახები ნაწილი თავად პარტია „ქართული ოცნების“ დასაყრდენ აქტივს წარმოადგენს დღესაც. ეს ყველაზე მარტივი რაც არის, თუმცა ფორმატი რომ საშუალებას იძლეოდეს, ცალ-ცალკე უფრო ღრმად შეიძლებოდა ცნება „დესტრუქციულის“ და სიტყვათშეთანხმება „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ჩაშლა.

- მმართველ პარტიაში განხორციელებულ ცვლილებებზე რას იტყვით?

- ასეთი ცვლილებები საინტერესოა მხოლოდ იმ კუთხით, აქტიური პოლიტიკიდან გაქცეულ ან გაშვებულ ყოფილ პოლიტიკოსს რამდენად ეყოფა გამბედაობა, ისაუბროს „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის, შიდაპარტიულ დემოკრატიაზე, შიდა პროცესებზე. სხვანაირად მოსაზრება, რომ ყველაფერი ერთი ადამიანისადმი ლოიალობის გრადაციაზეა დამოკიდებული, მხოლოდ და მხოლოდ მყარდება. ნაკლებად ლოიალურს ანაცვლებს კიდევ უფრო ლოიალური, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს მიდგომა, თავად მკითხველმა განსაჯოს.

- ცივილიზებულ ქვეყნებში პოლიტიკური კრიზისი დიალოგით და ურთიერთკომპრომისით დაიძლევა, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ურთიერთქიშპი და გაუტანლობაა. რა არის ამის მთავარი მიზეზი?

- ზრდასრულთა, იგივე ამომრჩეველთა პოლიტიკური განათლების პრობლემაა ქვეყანაში. ხაზს ვუსვამ, აქ საუბარია პოლიტიკურ განათლებაზე! შეიძლება ადამიანი შესანიშნავი მათემატიკოსი, ინჟინერი ან ფილოლოგი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუნდაც პირადი მოტივებიდან გამომდინარე, არ შეეძლოს პოლიტიკური კონტექსტის ფართო ჭრილში დანახვა და პროპაგანდის იოლი მსხვერპლი გახდეს, პოლიტიკური კონტექსტის ფართო ჭრილში დანახვა კი არც ისე მარტივი რამაა და ვერ მიიღწევა ორ ან სამ დღეში რამდენიმე სტატიის, ნარკვევის წაკითხვით. გერმანელებს აქვთ გამოთქმა „გახედვა საკუთარ თეფშს მიღმა“. მოიაზრება ის, რომ თუ ადამიანი მუდმივად არ აფართოებს თვალსაწიერს, არ ისწრაფვის ახლის შემეცნებისკენ, თუ მისი ჰორიზონტი საკუთარ თეფშსაც არ სცდება, ის ვერასოდეს გახდება პოლიტიკურად პასუხისმგებლიანი მოქალაქე. მას არასოდეს გამოელევა ელემენტარულ საკითხებზე საქიშპო და სადავო გვერდით მჯდომთან. ხედავს რა ამას ესა თუ ის პოლიტიკოსი ან პოლიტიკური სუბიექტი, პარტია იძულებულია, ჩამოქვეითდეს ასეთი ამომრჩევლის დონეზე, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ვერ ვითარდება ვერც ოპოზიციური და, მით უმეტეს, ვერც სახელისუფლებო პარტია. ისინი რჩებიან თქვენ მიერ ნახსენები ურთიერთქიშპისა და გაუტანლობის საფეხურზე. სხვა საკითხია, რას აკეთებს სახელმწიფო ამის გამოსასწორებლად? აქვს თუ არა მოქალაქეს სოციო-ეკონომიკურად საშუალება, „გაიხედოს საკუთარ თეფშს მიღმა“? თუ არ აქვს - რატომ? ეს მსჯელობის ცალკე საგანია.

> ***„ზრდასრულთა, იგივე ამომრჩეველთა პოლიტიკური განათლების პრობლემაა ქვეყანაში. ხაზს ვუსვამ, აქ საუბარია პოლიტიკურ განათლებაზე! შეიძლება ადამიანი შესანიშნავი მათემატიკოსი, ინჟინერი ან ფილოლოგი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუნდაც პირადი მოტივებიდან გამომდინარე, არ შეეძლოს პოლიტიკური კონტექსტის ფართო ჭრილში დანახვა და პროპაგანდის იოლი მსხვერპლი გახდეს***

- ვხედავთ, რომ მიტინგების მუხტი მინავლდა, ამ მხრივ ექსპერტთა (მაგალითად, გია ხუხაშვილი) ნაწილი ოპოზიციას ადანაშაულებს...

- არ ვფიქრობ, რომ ახლა არის დრო, ოპოზიციას ვამუნათებდეთ. ბუნებრივია, არც იმ აზრს ვიზიარებ, რომ ყველა ოპოზიციური პარტია ეგრეთ წოდებული კოლექტიური ნაცმოძრაობაა. თუ დღეს სადმე მოსაკითხია „ნაცმოძრაობა“, ეს მხოლოდ და მხოლოდ - „ქართული ოცნების“ რიგებში. პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ მოქალაქეს, პარტია ენმ-ის გარდა, ჰქონდა სხვა არჩევანის საშუალებაც. სხვა საკითხია, ვინ რამდენად გამოიყენა ეს არჩევნები საამისოდ ან მომავალ არჩევნებს რამდენად გამოიყენებს. რაც შეეხება პროტესტს, ის განგრძობადია! არის პერიოდები, როცა ქუჩაში გამომსვლელთა რაოდენობა შედარებით მცირეა, არის პერიოდი, როცა ისევ ათასობით ადამიანი დგას ქუჩაში. გავითვალისწინოთ ისიც, რომ თვეობით და წლობით განგრძობად, უწყვეტ პროტესტში ადამიანებს ფიზიკურად, მენტალურად და უამრავი სხვა მიზეზის გამო, უჭირთ ყოველდღიური მონაწილეობა. უკმაყოფილება და რისხვა იმის გამო, რომ ეგრეთ წოდებულმა მმართველმა პარტიამ მოქალაქეებს საკუთარი კონსტიტუცია უკიდურესად გაუბითურა, არსად წასულა.

- საერთოდ, რა სტადიაშია დღეს ოპოზიცია?

- გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ქვეყანაში „მმართველ პარტიას“ არ გააჩნია არავითარი პოზიტიური დღის წესრიგი, არ ჩანს, რა პროგრამულ ხაზს მიჰყვება ის ამ მხრივ, რომ საუბარი იყოს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე, ბუნებრივია, არც ოპოზიციური პარტიებისთვის იქმნება ჯანსაღი სადისკუსიო არეალი, რომ გამოჩნდეს, კონკრეტულად რა ინტელექტუალური, აღმასრულებელი ან ნეგატიურ მოვლენათა შემაკავებელი უნარები აქვთ ოპოზიციურ პარტიებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ოპოზიცია იძულებულია, „ჩამოლაბორანტდეს“ დისკუსიის და საქმიანობის იმ დონეზე, რა დონესაც სთავაზობს მას „ქართული ოცნება“. რთულია ოპოზიციონერობა, როცა მმართველი პარტია მუდმივად აგენტობას გწამებს და შენც იძულებული ხარ, უმტკიცო საპირისპირო. ასეთ ვითარებაში მოლოდინი, რომ ვიღაც „ველოსიპედს“ გამოიგონებს და გაიმარჯვებს ან გამოგვეცხადება თეთრ რაშზე ამხედრებული მხსნელი ოპოზიციური სუბიექტის სახით, ფუჭია... და ზოგადადაც - არასწორია ერთი კონკრეტული მხსნელის მოლოდინი. ერთგვარი ხსნა ან თუნდაც კრიზისიდან თავის დაღწევის გზა, ჩვენს შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ პლურალიზმშია. ჩვენ აღარ ვართ ისეთი ჰომოგენური ან ერთფეროვანი პოლიტიკური საზოგადოება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთ პარტიას ან, მით უმეტეს, ერთ ადამიანს ჰქონდეს ასეთი ქვეყნის მმართველობის ფუფუნება და ეს უნდა დაადასტუროს ამა თუ იმ არჩევნებმა, თუ ის სამართლიან და მიუკერძოებელ გარემოში ჩატარდება.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ბოლოდროინდელ საკანონმდებლო ცვლილებებს - რამდენად შეესაბამება ეს ევროპულ სტანდარტებს?

- მე არ ვარ იურისტი, რომ ამომწურავად ვისაუბრო საკანონმდებლო კაზუისტიკაზე, მაგრამ ფაქტია, რომ მოყოლებული ეგრეთ წოდებული რუსული კანონის პირველად შემოსვლიდან ჩვენს ყოველდღიურ რეალობაში, საკანონმდებლო ორგანო იქცა არა ლოგიკური მსჯელობის და რაციონალური გადაწყვეტილებების მიმღებ სახელისუფლებო შტოდ, არამედ ერთგვარ ნოტარიულ ბიუროდ, სადაც შემკვეთი, გადახდის შემთხვევაში, იღებს შესაბამის მომსახურებას, ასეთი რამ კი როგორ შეიძლება შეესაბამებოდეს რომელიმე სტანდარტს, მით უმეტეს, ევროპულს?! რომელ სტანდარტზე შეიძლება საუბარი, როცა შეკრებებისა და მანიფესტაციების ნორმების დარღვევისთვის ჯარიმა 500 ლარიდან 5000 ლარამდე თვალის დახამხამებაში იზრდება?! რა ლოგიკით?! რატომ?! საერთოდ სხვა საკითხია, არსებობდა თუ არა დარღვევა და რა მეთოდებით მტკიცდება ეს ამჟამინდელ მიკერძოებულ სასამართლოში.

- როგორც ცნობილია, პარლამენტში შეიქმნა ყოფილი ხელისუფლების დანაშაულების შემსწავლელი კომისია. რა აზრის ხართ ამაზე?

- ნონსენსია ეს ეგრეთ წოდებული კომისია! არ შეესაბამება მდგრადი დემოკრატიის მქონე არცერთი ქვეყნის სტანდარტს. მისი „შექმნის“ პროცესში დარღვეულ პროცედურულ და საკანონმდებლო კაზუისტიკას თავი რომც დავანებოთ, როგორ შეიძლება, ეს ადამიანები ერთდროულად იყვნენ სამხედრო ექსპერტებიც, ეკონომიკის ექსპერტებიც, უახლესი ისტორიის თუ სხვა უამრავი დარგის სპეციალისტებიც და პრეტენზია ჰქონდეთ ობიექტურობაზე?! სხვა საკითხია ცინიზმისა და ზიზღის ის დონეც, რაც ამ კომისიის სატელევიზიო ეთერებით ტრანსლირებისას იფრქვევა და უკიდურესად ამძაფრებს პოლარიზებას, ურთიერთქიშპსა და გაუტანლობასაც, რაც ზევით ვახსენეთ. ასევე ვახსენეთ წინა კითხვებში ცნება „დესტრუქციულობაც“, საკუთარი სახელმწიფოსადმი დესტრუქციული დამოკიდებულების მაგალითის დასახელებას თუ მთხოვდა ვინმე, სწორედ ამ „კომისიას“ დავუსახელებდი. თუ რამის გამოძიება იყო საჭირო, უკვე 13 წელია, ხელისუფლებაში მყოფი პარტია ჰქვია „ქართულ ოცნებას“ და მეოთხე თუ არა, მეშვიდე ან მერვე წელსაც ვერ ამოწურა ეს გამოძიებები? ეს არის შეურაცხყოფა არა მხოლოდ თავად წინა რეჟიმის მსხვერპლთა მიმართ, არამედ, საერთოდ, მთელი ქართული საზოგადოების მიმართ, თუმცა თუ ვერ გაანალიზებს ადამიანი საკითხს, ის ვერც გაიგებს, რომ შეურაცხყოფას აყენებენ. თან ამას ზედ ერთვის ისიც, რომ გამოუცხადებლობა დანაშაულად მიიჩნევა და თავად მსხვერპლმა რომც გააანალიზოს ეს შეურაცხყოფა და არ გამოცხადდეს, სამართლებრივად სდევნიან მას. ეს უკვე არანაკლებ რეჟიმად ქცევაა, ვიდრე ის რეჟიმი, რომელთა დანაშაულების გამოსაძიებლად შეიქმნა ეს „კომისია“.

იხ. მე-9 გვ.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებისთვის...

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების მიზნით, არაერთ პროგრამასა და ქვეპროგრამას ახორციელებს. მოწყვლადი კატეგორიის მქონე პირების დიაგნოსტიკური კვლევებისა და ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებისთვის წელს 1 104 000 ლარი დაიხარჯება



ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება ანგიოგრაფიის, გულის ან კორონარული არტერიების გეგმური ანგიოგრაფიის მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევები, ასევე, ზოგიერთი ნოზოლოგია, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის მიერ, ბენეფიციართა გეგმური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება, გულის კომპიუტერული კორონაროგრაფია, ონკოპაციენტებისათვის იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსყ) სერვისი (ინფუზია), ქვეპროგრამით, ჯამში 2 275 ბენეფიციარი ისარგებლებს.

მერიაში აცხადებენ, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება, ძირითადად, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არ აქვს საშუალება, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა სამედიცინო პროგრამით. აქედან გამომდინარე, ბათუმის მერიამ შეიმუშავა თანადაფინანსების ქვეპროგრამა სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მქონე პირებისათვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობისა და დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები იმ ბენეფიციარებს (ქალები - 60 წლამდე, მამაკაცები - 65 წლამდე), რომელთა დარიცხული თვიური ხელფასი არ აღემატება 1000 ლარს, არ ფინანსდებიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამითა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით, შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევის კლინიკებიდან წარმოდგენილი ფასიდან დაუფინანსდებათ 50 პროცენტი. ასევე, განხორციელდება ზოგიერთი იმ ნოზოლოგიის (საშარდე გზების ინფექცია, სისტემური წითელი მგლურა, პოლიართრიტი) 70-პროცენტიანი დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს ონკოპაციენტებისათვის იმ იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსყ) სერვისი (ინფუზია), რომელიც ასევე არ ფინანდება საყოველთაო ჯანდაცვისა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

„ანგიოგრაფიის დაფინანსების“, „გეგმური გულის ან კორონარული არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსების“ და „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსების“ ღონისძიებების ფარგლებში, დახმარება გაეწევათ ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (60 წლამდე ქალებს, 65 წლამდე მამაკაცებს), რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი - თვეში) ან არასტაბილური შემოსავლის მქონე თვითდასაქმებულებს კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 50 პროცენტის ფარგლებში. მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსების ღონისძიებების ფარგლებში, ასევე, დახმარება გაეწევათ ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსისა და სოციალური სტატუსის არმქონე (200 000-მდე ქულა) საქართველოს მოქალაქეებს.

„ბენეფიციართა გეგმური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება ღონისძიების ფარგლებში“ - მომსახურება გაეწევათ ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. 1. №36 დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; 2. მოქალაქეებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული ერთეულის მენეჯერის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. №165 დადგენილების ბენეფიციარებს (0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს), რომელთაც არ აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და არ სარგებლობენ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით: „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხიდან) №36 დადგენილების ბენეფიციარებს 30%-ის, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით (ლიმიტის ფარგლებში) მოსარგებლის მხრიდან, ხოლო 165-ე დადგენილების ზემოთ ჩამოთვლილ ბენეფიციარებს - 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს და სტუდენტებს - 20 პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, ხოლო ასაკით პენსიონერებს 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.

აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა, სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა მომსახურების მითითებით, საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული მიმართვა მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში.

ონკოპაციენტებისათვის იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსყ) სერვისის (ინფუზიის) დაფინანსების ღონისძიების ფარგლებში დახმარება გაეწევათ ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს.

აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა, სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა მომსახურების მითითებით, დაფინანსების დოკუმენტი საყოველთაო დაზღვევიდან ან აჭარის ჯანდაცვის სამინისტროდან, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ციტოსტატიკური (ბსყ) თერაპიის ერთი ინსტალაციის ფასი 70 ლარია. ბენეფიციარებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მომსახურება სამედიცინო ვაუჩერით გაეწევათ.

ქვეპროგრამის ფარგლებში 165 ბენეფიციარს მოემსახურებიან

ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარებისთვის მიმდინარე წელს ქალაქის ბიუჯეტიდან 201 600 ლარია გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფინანსური ხელშეწყობა ჰემოდიალიზის ცენტრის თირკმლის პათოლოგიის მქონე შშმ პირების ტრანსპორტირებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მინიმუმ 12 პროცედურა თვის განმავლობაში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, რომლებსაც ყოველთვიურად ესაჭიროებათ მედიკამენტების შეძენა და თბილისში სხვადასხვა დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარება.

ბენეფიციართა რაოდენობა წელსაც უცვლელია. ქვეპროგრამის ფარგლებში, ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის 135 პაციენტს ყოველთვიური სუბსიდირება 80 ლარის ოდენობით, 18 წლის ჩათვლით ლეიკემიით დაავადებულ 30 პირს კი 200 ლარის ოდენობით გაეწევათ. ქვეპროგრამის ფარგლებში, ჯამში 165 ბენეფიციარს მოემსახურებიან.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული პირები, რომლებიც გადიან მკურნალობის კურსს ჰემოდიალიზის ცენტრებში, ასევე, ბათუმში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ჩათვლით ლეიკემიით დაავადებული პირები.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

მიმდინარე წელს გაზრდილი მუნიციპალური ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით, ბათუმში მცხოვრებ ბევრ მოქალაქეზე დადებითად აისახა. მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება, რისთვისაც 279 500 ლარია გათვალისწინებული, მერიის კიდევ ერთი წარმატებული ქვეპროგრამაა, რომლითაც ჩვენი თანაქალაქელები სარგებლობენ

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პოლიტიკის განყოფილების უფროს მარინა რუხაძის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ სტომატოლოგიური მომსახურება ძვირად ღირებულ სერვისს წარმოადგენს და საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში არ ფინანსდება, დღის წესრიგში დადგა ამის განხორციელება.

- მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლებენ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები, ომის ვეტერანები, ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები, - აღნიშნა მარინა რუხაძემ.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები, ვეტერანთა საქმის დეპარტამენტის ბაზაში აღრიცხვაზე უნდა იყვნენ 2025 წლის 1 იანვრამდე.

გვერდი მოამზადა
მანანა ტაკიძემ

კახაბერ ჭიღლაძე: თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის ცივილიზაციის აკვანი!

*მკვლევარი **კახაბერ ჭიღლაძე** წარმატებით იკვლევს იბერიული ცივილიზაციის ფესვებს. მან თერთმეტი წელი ბასკეთში გაატარა და შეძლო, იქაურ ენათმეცნიერებთან შეეჯერებინა თავისი ეტიმოლოგიური და სხვა სახის მიგნებები, აღეწერა ბასკურ-ქართული და ზოგადად, მედიტერიანული კავკასიური პარალელები, გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, დაწერა წიგნი „საქართველო - ცივილიზაციის აკვანი“, თარგმნა „კავკასიური იოგა - სიცოცხლისა და სიკვდილის წიგნი“. საინტერესოა ქართულ ანბანსა და დნმ-ზე კახაბერ ჭიღლაძის გამოკვლევა, რომლითაც ის ასაბუთებს, რომ საქართველო არის ცივილიზაციის აკვანი. რა არგუმენტებს იშველიებს საამისოდ? ამაზე კახაბერ ჭიღლაძე ამ ინტერვიუში თავად გვესაუბრება.*

- როგორ დაახასიათებდით საკუთარ პერსონას და როგორ დაიწყო თქვენი პროფესიული გზა?

- მშვიდობა თქვენს მკითხველს და ყველა გულიან ადამიანს. მე გახლავართ კახაბერ ჭიღლაძე, საქართველოს მოყვარული, დაბადებული თბილისში. ბავშვობიდანვე ვიყავი ძალიან ცნობისმოყვარე, ვეძებდი პასუხებს და ახლაც კვლევით ვარ დაკავებული, ამჟამად - იბერიული ცივილიზაციის. წარმოშობით ვარ ჭიათურიდან, სადაც აღმოაჩინეს მსოფლიოში უძველესი ძაფი, ძუძუანას მღვიმეში და უძველესი თეთრკანიანი კავკასიოიდი, კოტიას კლდის მღვიმეში. ძალიან მიყვარდა კითხვა, ადრეულ ასაკში მითოლოგიით ვიყავი გატაცებული. 18 წლისა მოვხვდი მითოსის ბურუსში გახვეულ კუნძულ კრეტაზე, სადაც ყველაფერი მჭიდრო კავშირშია საქართველოსთან - კოლხეთთან. იქ ორი წელი ვიცხოვრე, შემდეგ დავბრუნდი თბილისში, მაგრამ მალევე მომიწია ესპანეთში გამგზავრება და 11 წელი დავყავი ბასკეთში (ბილბაო, ვიტორია). იქაც ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა იბერიულ-ქართული კვალი (ადათ-წესებში, ტოპონიმებში, ენა-გრამატიკაში და ა.შ.). ამ ყველაფრით აღფრთოვანებულმა მოვახერხე შავიერ კინტანასთან (ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, ქართველოლოგი, ბასკური ენის, ოქროს ინსტიტუტის ხელმძღვანელი) შეხვედრა და მოვახსენე ჩემი მიგნებები. მან თბილად მიმიღო, მომისმინა და გულდაწყვეტით მითხრა, რომ წინა საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ინტენსიური კვლევები მიმდინარეობდა ბასკურ-ქართულ პარალელებზე ორივე მხრიდან, მაგრამ შემდეგ ქართულ მხარეს აუკრძალეს ურთიერთობა და ეს პროცესი შეწყდა. შავიერ კინტანას აქვს უამრავი ნაშრომი ამ თემაზე, ასევე, გადათარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ბასკურ ენაზე. მან და უამრავმა მეცნიერმა ბევრი იციან ჩვენი კულტურის შესახებ და იქ არსებობს მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მაგრამ ჩვენთან არ ითარგმნება და არ ქვეყნდება. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, ჩავრთულიყავი ამ საქმეში და თავად აღმეწერა ბასკურ-ქართული და ზოგადად, მედიტერიანულ-კავკასიური პარალელები. გამოვაქვეყნე რამდენიმე ნაშრომი, დავწერე წიგნი „საქართველო - ცივილიზაციის აკვანი“, ვთარგმნე „კავკასიური იოგა - სიცოცხლისა და სიკვდილის წიგნი“ და ა.შ....

- თქვენი კვლევის მეთოდი მეცნიერულ არგუმენტებს ემყარება თუ ეგზისტენციურია?

- როგორც მოგახსენეთ, პირადად მომიწია ცხოვრება იბერიულ კულტურაში, მინოსურ-ბასკურში, ამიტომ ჩემი კვლევები ემყარება ფაქტებს, მეცნიერულ არგუმენტებს, არანაირი თეორიები, მხოლოდ სინამდვილე, ვწერ და ვამბობ იმას, რისი გადამოწმებაც შეუძლია ყველას, იქნება ეს იბერიული ცივილიზაციის კვლევა თუ ასომთავრულისა და ადამიანის დნმ-ის თანხვედრა.

- „საქართველო - ცივილიზაციის აკვანი“ - მოგვითხრეთ ამ წიგნის შექმნისა და დანიშნულების შესახებ...

- ამ წიგნის დაწერის წინაპირობაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ მიზეზი და მთავარი არის ქართული ასომთავრული ანბანის და ადამიანის დნმ-ის თანხვედრა, პარალელები მათ შორის, ისინი ერთ მატრიცაზეა შექმნილი და ეს მიგნება რომ ჩამეწერა „მშრალად“, მაშინ ძალიან რთულად აღსაქმელი იქნებოდა, ამიტომ შევკრიბე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციაზე და ისიც, რაც ჩემი თვალით ვნახე. ვეცადე, მთლიანობაში წარმომეჩინა ამ ცივილიზაციის მასშტაბები, ჩვენი წინაპრების უდიდესი ცოდნა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იკვეთება კავკასოიდების უპირატესობა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის ცივილიზაციის აკვანი! ამის დასტურად უამრავი მიზეზი გაგვაჩნია, მაგ: უძველესი მიწათმოქმედება, მეტალურგია, ღვინო, ოქროს საბადო, ხორბალი, ყველი, თაფლი... და, რაც მთავარია, ენა და დამწერლობა, ასევე, უძველესი ანბანური დამწერლობა... ამ ნაშრომის მიზანი არ არის საქართველოს სხვა ქვეყნებზე აღმატებულად წარმოჩენა, მხოლოდ ის მინდა, რომ სათანადოდ დაგვაფასონ და საქართველო განიხილონ, როგორც მსოფლიოს მეცნიერთა კვლევის ობიექტი. აქედანაა გავრცელებული ცივილიზაცია და აუცილებელია საწყისების კვლევა, რომ კაცობრიობა დაადგეს ჭეშმარიტების გზას.

- ქართულ ასომთავრულ ანბანში დამარხულ საიდუმლოებებს რამაზ პატარიძე და სხვებიც იკვლევდნენ, თქვენს გამოკვლევაში, მათგან განსხვავებით, რაზე ამახვილებთ ყურადღებას?

- ყველას უღრმესი მადლობა, ვინც კი ამ საკითხს შეეხო, მათ თავისი ბილიკები გაკვალეს და იმედია, ეს ბილიკები შეერთდება საერთო კეთილდღეობისთვის. ზოგმა კალენდარს მიაგნო ანბანში, ზოგმა რიცხვით სისტემას, სხვამ ბიქილას ან ასტროლოგიურ კანონზომიერებას, ის მრავალშრიანია, მე კი სხვა კუთხით შევხედე და დავინახე ასომთავრულისა და დნმ-ის თანხვედრა. ეს უმნიშვნელოვანესია ადამიანებისათვის, რადგან ანბანით შესაძლებელია დნმ-ის ამოკითხვა. ალბათ, მეცნიერები მალევე მიხვდებიან ამ ფაქტის მნიშვნელობას.

- ქართული ენა, როგორც ენიგმატიკური ფენომენი, სამყაროს ენა - თქვენს ამ თვალსაზრისს რა ასაზრდოებს, რა წყაროები?

- ამისათვის უამრავი საფუძველი გაგვაჩნია, ენათმეცნიერული კვლევები, არქეოლოგიური არტეფაქტები, გენეტიკური მონაცემები, ისტორიული ფაქტები და ა.შ. ასევე, ინგლისელ მეცნიერ პეიგელის და მისი კოლეგების კვლევა, რომ ქართული ის ფუძე ენაა, რომელმაც საფუძველი დაუდო ყველა დანარჩენს დაახლოებით 15 000 წლის წინ, პიქტოგრამები, A-ხაზოვანი დამწერლობა, გრაკლიანის უძველესი ანბანური წარწერა, ასომთავრული.... მთავარი მაინც ისაა, რომ ყველაფრის საწყისი სიტყვაა, „დასაბამიდან იყო სიტყვა“ და მისი მატერიალიზაციაა ჩვენი სამყარო. სიტყვა არის ინფორმაციის მატარებელი ენერგია, დნმ-იც იგივეა მატერიაში, ის ყველაფერშია და თუ მას შევიცნობთ, ჩვენ ჩავწვდებით სამყაროს არსს. თუ ქართული ასომთავრული დნმ-ის კოდია, და ეს ასეა, მაშინ ქართული სამყაროს ენაა!

- ყურადღება მიიპყრო თქვენმა ნარკვევმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ... მაინც, რა შეიძლება სცოდნოდა რუსთაველს ადამიანის გენეტიკის შესახებ?

- რუსთაველი გენიალური ფენომენია! მას ჰქონდა გაძლიერებული კავშირი უმაღლეს გონთან. იმაზე, რომ გენეტიკას იცნობდა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ აშკარაა, რომ ადამიანის დნმ-ის მოლეკულური სისტემა, ანბანი, მიკრო და მაკრო სამყარო ერთ მატრიცაზეა და რომელიმე მათგანის სტრუქტურის ცოდნით, სხვების არსიც იცი. შესაძლებელია, მესამე თვალი ჰქონდა ახელილი და სხვა განზომილებით უყურებდა ყველაფერს - არ ვიცი, მაგრამ შეუძლებელია, შემთხვევითობა იყოს დნმ-ის და ანბანის კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“, მაგ: დნმ-ის 64 კოდონი და 64 მარცვალი ყველა სტროფში, მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა და დნმ-ის მაღალ-დაბალი ბოლოები, 3+1 პრინციპი პოემაში და დნმ-ში და ა.შ.

- ზაირა მიქაცაძე-ჭაღალიძის ლექციების ციკლი ქართული ენის ისტორიის შესახებ - ამ ციკლს ხშირად აცნობთ ფეისმკითხველს... და მაინც, მათგან ყველაზე არსებითად რომელს მიიჩნევთ, რისი ცოდნაც აუცილებელია ჩვენი იდენტობისათვის?

- ქალბატონი ზაირა დედაჩემია და ბევრს ვერ ვისაუბრებ, სუბიექტურობაში ჩამეთვლება. იგი მთელი არსებით გაჟღენთილია საქართველოს და სამყაროს სიყვარულით და ყველა მისი სიტყვა თუ ქმედება ამის გამოვლინებაა. ის პროფესიით ფილოლოგი და პედაგოგია და მთელი ცხოვრება (რაც მახსოვს) მიუძღვნა ცოდნის გადაცემა-გავრცელებას. ეს მისი ბუნებაა, როგორც ჭეშმარიტი ქართველი ქალების. მისი ლექციების მთავარი გზავნილი ჩვენი, საკუთარის დაფასება, ურთიერთპატივისცემა და უპირობო სიყვარულია.

- „სიცოცხლისა და სიკვდილის წიგნი“ - როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა წაიკითხოს იგი მკითხველმა და საერთოდ, სად შეიძინოს?

- ამ წიგნს იბერიული ცივილიზაციის კვლევისას წავაწყდი და სასიამოვნოდ გამიკვირდა ჩვენი წინაპრების კიდევ ერთი შედევრი. ეს პატარა წიგნი არის უდიდესი ცოდნის დამტევი, უჯრედის აგებულებიდან დაწყებული, ტვინის ურთულესი სისტემით დამთავრებული და ქვეცნობიერიდან ზესამყარომდე კავშირი, ადამიანიდან უმაღლეს მე-მდე, ლევიტაცია, ტელეპორტაცია და ა.შ. მე შორს ვარ გასხივოსნებიდან, მედიტაციასაც ვერ ვახერხებ, მაგრამ გადმოვთარგმნე ქართულად, სპეციალისტთან ერთად, რადგან მხოლოდ ინგლისურად და რუსულად იყო და უფრო საწყენი ის არის, რომ ამ წიგნის მეშვეობით უცხოეთში ამზადებდნენ მზისა და მთვარის (ფარაონის) ცილინდრებს და საქართველოს არც ახსენებდნენ, არადა, ავტორმა ვალევსკიმ 1922 წელს საქართველოდან წაიღო ეს ცოდნა და დაარქვა „კავკასიური იოგა“. შემდეგ, 70-იან წლებში, ბორჯომის ხეობაში მიაგნეს ხელნაწერს და ისიც გაიტანეს საქართველოდან. ამიტომ გადავწყვიტე ამ წიგნის თარგმნა და გამოცემა ფართო აუდიტორიისთვის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ღირებულებები. რაც შეეხება წიგნის შეძენას, დამიკავშირდნენ ნომერზე 551 49 70 07 ან სტუდია „დელიაში“.

- საკუთარ თავს რას ჰკითხავთ და რას უპასუხებთ?

- რაც ყველაზე ძალიან მაინტერესებს - „ვინ ვარ მე“? და ამ კითხვაზე პასუხის ძიება, მჯერა, ჭეშმარიტებამდე მიმიყვანს.

ლაშა ხომერიკი

> *„ეს მიგნება რომ ჩამეწერა „მშრალად“, მაშინ ძალიან რთულად აღსაქმელი იქნებოდა, ამიტომ შევკრიბე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციაზე და ისიც, რაც ჩემი თვალით ვნახე. ვეცადე, მთლიანობაში წარმომეჩინა ამ ცივილიზაციის მასშტაბები, ჩვენი წინაპრების უდიდესი ცოდნა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იკვეთება კავკასოიდების უპირატესობა*

პრობლემის გადაჭრის გზა მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვაა

საქართველო, ცხადია, არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მიუსაფარი ცხოველების პრობლემა აქვს. შესაბამისი სამსახურები უკვე წლებია, ცდილობენ მასთან გამკლავებას. ხშირია შემთხვევები, როცა პატრონს ცხოველები ბეზრდება. ამ და სხვა მიზეზების გამო, სპეციალურად მიჰყავთ გარეუბნებში და ტოვებენ. ცხოველების უდიდესი ნაწილი ქუჩაში დაიბადა, ან როგორც ვთქვით, მიატოვეს. სოციალურ ქსელებში არაერთ ჯგუფს ნახავთ, სადაც ამ თემით დაინტერესებული ადამიანები ერთობლივი ძალებით ცდილობენ უსახლკარო ცხოველების დახმარებასა და პრობლემის მოგვარებას.

ნინო წერეთელი ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ძალიან უყვარს ცხოველები. საკუთარი ძაღლებისა და ფისოს გარდა, უამრავი შინაური და დეკორატიული ფრინველი, კუ ჰყავს. ხშირია შემთხვევები, როცა მის კერძო სახლში უპატრონო ცხოველები იდებენ ბინას და მრავლდებიან. სახლის მზრუნველი დიასახლისი წლებია ცდილობს პრობლემასთან გამკლავებას, ლეკვებისთვის და კნუტებისთვის მზრუნველი პატრონის პოვნას.

როგორც გვითხრეს, გადაჭრის გზა მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვაა. მსოფლიოში აპრობირებული ერთადერთი ყველაზე ჰუმანური და ეფექტური მეთოდი - კასტრაცია-სტერილიზაცია, ქირურგიული ოპერაციების საშუალებით ცხოველის რეპროდუქციული უნარის შეწყვეტას გულისხმობს.

სპეციალისტების განმარტებით, კასტრაცია-სტერილიზაცია პოზიტიურად ცვლის ცხოველის ქცევას, მცირდება აგრესია და ტერიტორიის მონიშვნის სურვილი, სიმსივნური და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების რისკი, დაახლოებით 3-5 წლით ზრდის ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობას, ხვადი აღარ დატოვებს სახლს ძუ ძაღლთან შეჯვარების მიზნით, რაც ამცირებს თქვენი ცხოველის დაკარგვის საშიშროებას და დაგიზოგავთ თანხას. ბევრად უფრო ეფექტურია ცხოველის სტერილიზაცია, ვიდრე არასასურველი მაკეობის თავიდან არიდება, რაც ამცირებს ქუჩის ცხოველების რაოდენობას.

მიუსაფარ ცხოველებზე მონიტორინგს ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია ყოველწლიურად ახორციელებს. უწყების ინფორმაციით, წელს უკვე 900-მდე უპატრონო შინაურ ცხოველს ჩაუტარდა სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია, რევაქცინაცია. დაბირკული და უვნებელი მიუსაფარი ცხოველი, კანონის შესაბამისად, უბრუნდება აყვანის პირველად არეალს. მუნიციპალური ინსპექცია მონიტორინგს მერიის მიერ შპს „რესიკბთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს, რაც წლის ბოლომდე უპატრონო ძაღლებისა და კატების, სულ 4700 ცხოველის მოვლა-პატრონობას ითვალისწინებს.

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის კანცელარიასთან დასაკავშირებლად უნდა დარეკოთ ნომერზე 0800 000 810, ოპერატორთან დაკაშირების შემდეგ კი ირჩევთ რიცხვ 3-ს. კანცელარიის ცხელი ხაზი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00-18:00 საათამდე.

მანანა ტაკიძე

„მარეთობა-2025“

ქართული ფოლკლორის მოამაგეებს არ ავიწყდებათ შარშან თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული ერთი ხეობის ფოლკლორის საღამო, რომელზეც შუახევის რაიონის მარეთის ხეობის ფოლკლორი, მისი წარსული და აწმყო წარმოაჩინეს. საღამომ ანშლაგით ჩაიარა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მარეთელებმა დედაქალაქელები ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „მარეთობაზე“ მოიპატიჟეს. მათაც სიამოვნებით მიიღეს მიწვევა და ცნობილ კარდიოლოგს, მარეთელ ბონდო მაკარაძესთან ერთად, „მარეთობა-2025“-ის მოზეიმეებს შეუერთდნენ

ტრადიციულად დღესასწაულს 6 მაისს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავენ. ზეიმს სათავე ხეობაში, კერძოდ, გამონათლევში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობამ დაუდო, რომელიც 2005 წლის მაისის გიორგობაზე საზეიმოდ აკურთხეს. იმ დღიდან მოყოლებული, ტაძარს წინამძღვარი ჰყავს და წირვა-ლოცვები აღევლინება, ნათლობისა და ჯვრისწერის მსახურება ტარდება. მათი დასრულების შემდეგ, ტაძარში მოსული მომლოცველები და მოზეიმენი მდინარეების ჩირუხისწყლისა და დოლაბისწყლის შესართავთან იკრიბებიან, სადაც წუთისოფლიდან ნაადრევად წასული, ცნობილი სამართალდამცავის ფრიდონ ქარცივაძის ხეივანი და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალია.

- კარგად მახსოვს ის დღე, როცა ქვეყანასა და ხეობაში ცნობილმა პიროვნებებმა პროფესორ სოლომონ ფუტკარაძის ინიციატივით, ტაძრის საძირკველი გაჭრეს და დუღაბი ჩაასხეს. იმ დღიდან მოყოლებული, აქ გამართული ღვთისმსახურების მონაწილე ვარ. წელსაც მოსალოცად მოვედი, წირვა-ლოცვა დეკანოზებმა პეტრემ (შანიძე) და გიორგიმ (ფუტკარაძე) აღავლინეს. მადლობა უფალს, რომ ხეობა ძირძველ მრწამსს უბრუნდება, რომელიც მომხდურებმა ცეცხლითა და მახვილით წაგვართვეს, - გვითხრა ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა რაჟდენ ფუტკარაძემ.

წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ ნათლობაც ჩატარდა. 62 წლის იური (გიორგი) მიქელაძე და სხვები მართლმადიდებლობას ეზიარნენ.

საზეიმო ღონისძიებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გმირების ამირან მამალაძის, იაგო მიქელაძის, რომან ზოიძის და აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ფრიდონ მახარაძის მემორიალის ყვავილებით შემკობით დაიწყო. ცერემონიაში მონაწილეობდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი, საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის მთავრობის წევრები, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმომადგენლები.

მარეთის ხეობის წარსული და დღევანდელობაა ასახული ფოტოებზე, რომელთა ავტორი „საპატიო მარეთელი“ ოთარ ცინარიძეა. ზეიმის მონაწილეებმა, გამოფენის დათვალიერების შემდეგ, ფრიდონ ქარცივაძის სკვერში გადაინაცვლეს.

ზეიმი მწერალ ვახტანგ გოგრაჭაძეს მიჰყავდა. შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „მარეთის“ წევრები სიმღერებით ჩაერთნენ ზეიმში, ხოლო ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ წევრებმა „ხორუმი“ შეასრულეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ შეკრებილებს „მარეთობა 2025" მიულოცა და იმ პროგრამებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომლებიც ხეობის სოფლებსა და დასახლებულ უბნებში ხორციელდება. მოზეიმეებს სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა.

„მოხარული ვარ და თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ, რომ პირველად მერგო ამ დღესასწაულში მონაწილეობის პატივი. თითოეულ მარეთელს მადლობას გიხდით, რომ ასე სათუთად ინახავთ ტრადიციებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტია მთიანი აჭარის ეკონომიკური განვითარება, აქ მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლება. იქნება ახალი გამოწვევები, მოწმენი გავხდებით ახალი პროექტებისა. გილოცავთ ზეიმს!... იმედს ვიტოვებთ, რომ გაისად უფრო მეტი მომღიმარი სახე იქნება. მადლობა გულთბილი დახვედრისთვის“, - თქვა ბატონმა სულხანმა.

სულხან თამაზაშვილმა და ომარ ტაკიძემ „საპატიო მარეთელის“ დიპლომები გადასცეს იმ 4 პიროვნებას, რომლებმაც პროფესიასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავი ისახელეს, ათწლეულებია ქართულ სიტყვას ეჭიდებიან და მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს უძღვებიან. ჯემალ ივანაძე და თამაზ დიასამიძე ჯაბნიძეებისა და კვიახიძეების საჯარო სკოლების დირექტორები არიან, ოლადაურისა და შუბნის საჯარო სკოლების პედაგოგები არიან მერაბ მაკარაძე და ოთარ ფუტკარაძე. მათ მადლობა გადაიხადეს ამაგის დაფასებისა და „საპატიო მარეთელის“ წოდების მინიჭებისთვის.

მოზეიმეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე. მათ ნომინაციებში: ხეობის „ოქროს კალამი“, „გმირი დედა“, „დამსახურებული ხელოვანი“, „უხუცესი მამაკაცი“, „უხუცესი ქალბატონი“, „წარმატებული პედაგოგი“, „წარმატებული სპორტსმენი“, მადლობის ბარათები გადასცეს მწერალ აკაკი მახარაძეს, დედებს გიული ფუტკარაძესა და ქეთინო მამალაძეს, 94 წლის ბეჟან ფუტკარაძესა და სულთან აბაშიძეს, ანსამბლ „შუახევის“ სოლისტ იაგო ჭურკვეიძეს, ცინარეთის საჯარო სკოლის დირექტორ ნათელა ბახტაძეს, რიჩარდ ფუტკარაძეს. მადლობის ბარათი, ასევე, გადაეცა რევაზ ფუტკარაძეს წარმატებული ტურისტული საქმიანობისთვის.

სიტყვით გამოვიდა საზოგადოება „მარეთის“ ახლად არჩეული თავმჯდომარე მამუკა აბუსელიძე. მან მადლობის ბარათები გადასცა მედიცინის სფეროში, საგზაო ინფრასტრუქტურასა და ფერმერულ საქმიანობაში წარმატებით მოღვაწე მარეთელებს ჟუჟუნა მახარაძეს, ჯუმბერ აბუსელიძეს და შოთა ფუტკარაძეს.

დაფუძნების დღიდან საზოგადოება „მარეთი“ ხეობის წარმატებულ მოსწავლეებს ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის პრემიებს გადასცემს. ნომინანტებს დღესასწაულზე ავლენენ. ამჯერად 4 მოსწავლე დაჯილდოვდა: თამარ მიქელაძეს, ლიზი ფუტკარაძეს, ნინო გოგიტიძეს და ელენე აბაშიძეს ვაუჩერები ომარ ტაკიძემ გადასცა.

ხეობაში ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცეს ციური, ია, ნაზი, მზია, მზიური მაკარაძეებს, ვარდო, ნათელა, ნონა ფუტკარაძეებს, რუსუდან, ეთერ დარჩიძეებს, ნათელა ქარცივაძეს, მარინა მიქელაძესა და ნანული გოგიტიძეს, ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში გამარჯვებულ სპორტსმენებს რიჩარდ ფუტკარაძესა და ავთანდილ თავდგირიძეს..

წლევანდელი „მარეთობა“ საზეიმო სუფრით დასრულდა. ზეიმის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო თანხა მარეთისხეობელმა ბიზნესმენებმა: მამუკა აბუსელიძემ, ზურაბ დავითის ძე, დათო, თემურ, რამინ, ზაურ, უშანგი, ვალერი, ნოდარ ფუტკარაძეებმა, ჯემალ ბათაძემ, რომან გუნდაძემ, რამინ დავითაძემ, ზაურ ჯემალის ძე და ზაურ ზურაბის ძე გოგიტიძეებმა, ტარიელ ქარცივაძემ, ავთანდილ ჯუმუშაძემ, ზვიად, ბეჟან, ომარ, ამირან ბერიძეებმა, დათო ველიაძემ, შოთა მიქელაძემ, ბექა, ბეგლარ მაკარაძეებმა გაიღეს.

ოთარ ცინარიძე



თეონა ტაბატაძის ცხოვრების მთელი ფილოსოფია

ბავშვობაში მასწავლებლობა ან ჟურნალისტობა სურდა, თუმცა ერთმა მძიმე ფაქტმა მისი გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვალა და პროფესიად ექიმობა აირჩია. თვლის, რომ დღეს სწორედ იმ საქმეს ემსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს, იდგეს ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი პედიატრი ***თეონა ტაბატაძეა,*** *რომელიც თავის პროფესიაზე, ინტერესებსა და შეხედულებებზე გვესაუბრება.*

- რატომ - სამედიცინო და, კონკრეტულად, პედიატრია?

- ბავშვობაში მასწავლებელი ან ჟურნალისტი მინდოდა გამოვსულიყავი. ზაფხულობით ბებოსთან, სოფელში, მაგიდაზე დავალაგებდი წიგნების გროვას და საათობით ვიჯექი, ნოდარ დუმბაძის ლექსები მქონდა დაზეპირებული და ვითომ ვკითხულობდი, მერე წარმოვიდგენდი, სხვას როგორ ვასწავლიდი. წიგნთან განმარტოების სიყვარული ბავშვობიდან მომყვება და დღემდე ჩემს საყვარელ მდგომარეობად რჩება. საათობით შემიძლია, განვმარტოვდე და ამით დიდ სიამოვნებას ვიღებ. საბოლოოდ, პედიატრი გავხდი და ეს განაპირობა ჩემი ძმის გარდაცვალებამ. 13 წლის ვიყავი, ბავშვურად და გულწრფელად გადავწყვიტე, რომ შევეცდებოდი მთელი ცხოვრება მაქსიმუმი გამეკეთებინა, რათა მსგავსი ტკივილი სხვა ადამიანებს არ განეცადათ. დღეისთვის მგონია, რომ ყველა ბავშვობის ინტერესი განვახორციელე, გავხდი ექიმი, ვასწავლი სტუდენტებს პედიატრიას, მაქვს ინსტაგრამგვერდი, სადაც მშობლებისთვის მოკლე ვიდეორგოლებს, ეგრეთ წოდებულ რილსებს ვაქვეყნებ.

- იყო პედიატრი, იმსახურებდე საზოგადოების ნდობას, ნიშნავს...

- ჩემთვის ნიშნავს, იყო მაქსიმალურად კომპეტენტური შენს საქმეში, სიყვარულით აკეთო, რასაც აკეთებ. ამისთვის ყოველთვის ბევრს ვშრომობ. ჩემი შემოსავლის უმეტესი წილი ისევ ჩემს განათლებას, ცოდნის გაღრმავებას ხმარდება. ყველაზე მეტად მწყინს და გულს მტკენს ფრაზა - ექიმებს მხოლოდ ფული ადარდებთ! სინამდვილეში ეს უკანასკნელი ექიმისთვის ყველაზე ნაკლები საფიქრალია. იმისათვის, რომ კომპეტენტური იყო შენს პროფესიაში, აუცილებელია უწყვეტი განათლება, რაც საკმაოდ კარგ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ჯანმრთელობა და განათლება ეს არის ორი მთავარი ქვაკუთხედი, სადაც ეკონომია არ უნდა გავაკეთოთ.

- ბავშვები და მათთან ურთიერთობა...

- როცა მეკითხებიან, მიძნელდება თუ არა ბავშვებთან მუშაობა, გულში სულ ვფიქრობ, ამაზე საინტერესო და კარგი, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა აკეთო ადამიანმა. ბავშვები ყველაზე გულწრფელი არსებები არიან. იმდენად დიდი და სუფთა, პოზიტიური ენერგია მოდის მათგან, შემიძლია ვთქვა, რომ მუშაობის პროცესში მათთან ყველაზე ნაკლებად ვიღლები. პირიქით, ხშირად არის შემთხვევა, პატარა პაციენტისგან იმდენად დადებითი ენერგია მოდის, მთელი კვირა მიმყვება ეს სასიამოვნო განცდა. ზოგი ძალიან ლამაზია, ზოგი - სასაცილო, ზოგიც - ონავარი... ასე ვყოფთ მე და ჩემი ასისტენტი პაციენტებს.

- მოგზაურობა გიყვართ. გაიხსენეთ ის ერთი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე.

- სულ ვხუმრობ, ალბათ წინა ცხოვრებაში ბოშა ვიყავი-მეთქი. ყველა მოგზაურობის დროს ვიზრდები, უფრო ჰუმანური ვხდები. აღფრთოვანებული ვარ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურით, არქიტექტურით. ძალიან მიძნელდება კონკრეტულად რომელიმეს გამოყოფა, რადგან ყველა და ყველაფერი მიყვარს, სადაც მიმოგზაურია. კიდევ ერთხელ ვნახავდი შრი-ლანკას. მაგრამ მთავარი, რასაც ვაცნობიერებ ყოველი მოგზაურობის შემდეგ, არის ის, რომ საოცარი ქვეყანა გვაქვს და სულ უფრო მადლიერი ვარ ღმერთის, რომ აქ - საქართველოში დავიბადე, რომ ქართველი ვარ.

- შვილებთან ერთად როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

- შვილებიც ავიყოლიე მოგზაურობაში. მივხვდი, რომ ყველაზე ხარისხიანად თავისუფალ დროს მოგზაურობისას ვატარებ მათთან. რამდენიმე ქვეყანა მოვინახულეთ. ვფიქრობ, შვილი ღმერთისგან მონდობილი არსებაა, რომელიც გარკვეული დროით გაბარია. შენი მოვალეობაა, გიყვარდეს, იზრუნო, ასწავლო, მისცე იმდენი ლამაზი დღე და წუთი, რამდენიც შეგიძლია. ეს დრო მას გაჰყვება მთელი ცხოვრება საგზლად და სულ დაეხმარება. არ ვეთანხმები ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, შვილები მატერიალურად ან უძრავი ქონებით უნდა უზრუნველყონ. ამისთვის ძალიან ბევრს შრომობენ და ნაკლებ დროს ატარებენ მათთან, არადა, ცხოვრება გადის და რჩება კედელი, შიგნით კი სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვეღარაფერი ავსებს. ჩვენი ვალია, შვილებს მივცეთ სწორი განათლება, ვიზრუნოთ მათ ჯანმრთელობაზე, ლამაზ დღეებზე. მატერიალური კეთილდღეობა მათ თავად უნდა შექმნან, ეს არის სწორი ალგორითმი და ასეთ დროს განიცდის პიროვნება სრულყოფილებას.

- რას მიიჩნევთ თქვენი ცხოვრების ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად?

- რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, გვზრდის, გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც კი მოინდომებ, შესაძლებელია, რომ არავინ არავისზე არც მეტია და არც ნაკლები და ყველა ერთნი ვართ. ამის გათავისებამ ისე დაალაგა ყველაფერი, რომ ჩემი ყველა შემდეგი ნაბიჯი წარმატებულია.

- გვიამბეთ ინტერესებზე, გაქვთ თუ არა ჰობი?

- ჩემი პროფესია ჩემი ჰობიცაა. ვცდილობ, მაქსიმალურად კომპეტენტური ვიყო, ამისთვის უამრავ კურსს, ლექციას თუ წიგნს ვეცნობი. ეს ეხება როგორც სომატიკას, ისე ფსიქოლოგიას და ნეიროფსიქოლოგიას. ყველაზე ჰარმონიულად ვგრძნობ თავს, როცა შემიძლია პაციენტს და მის მშობელს მოკლე დროში მოვუგვარო სომატური თუ ფსიქოლოგიური პრობლემა. ზოგჯერ, უბრალოდ, სწორი მიმართულების მიცემა ძალიან დიდი საქმეა. ამიტომ ვცდილობ, ჩემი განათლება გასცდეს მხოლოდ პედიატრიის ცოდნას. ასევე, მიყვარს ჩოგბურთის თამაში და დიდ სიამოვნებას ვიღებ ამისგან.

- რა გამოწვევებია დღეს პედიატრიაში?

- ძალიან მინდა ბევრი კომპეტენტური პედიატრი საქართველოში, მშობლების განათლების ამაღლება. თუ მშობლის განათლების დონე დაბალია, ჭირს „ფინიშზე“ გასვლა. შემსრულებელი ყოველთვის მშობელია, ამიტომ დიდი როლი აქვს მას ბავშვის ჯანმრთელობაში. ერთხელ ლექციაზე ლექტორმა თქვა და სულ მახსოვს ეს ფრაზა: „პედიატრია და პედაგოგიკა ყველაზე პატრიოტული დარგებია“ - ერთი განაპირობებს ჯანმრთელი თაობის აღზრდას, მეორე - განათლებულის და სწორედ ეს ორია ძლიერი სახელმწიფოს გარანტი.

- რა არის, რაც ყველაზე მეტად გსურთ?

- მსურს იმდენად სავსე ვიყო, შევძლო ყველა ადამიანს, ვისთანაც შეხება მექნება, ჩემი წილი დახმარება აღმოვუჩინო და სიკეთე გავუკეთო, შევძლო, ჩემმა შვილებმა გააცნობიერონ, რომ ცხოვრება, ყველაფრის მიუხედავად, მშვენიერია და აზრი ყოველთვის ყველაფერს აქვს, რომ რაც გვაქვს, უკვე საკმარისია და აქ ახლა შეგვიძლია სასიკეთო ცვლილებები. ნებისმიერ პრობლემას თუ მოვაცილებთ ემოციას, რჩება გამოწვევა, რომლის მოგვარება ყველა ადამიანს ძალუძს, ამისთვის კი გულით უნდა მოინდომოს. იყავით ბავშვებივით, „უნდა“ ჩაანაცვლეთ „მინდათი.“ ძალად არასდროს არაფერი აკეთოთ - ჯანმრთელობას ვნებს. მოძებნეთ თქვენი საყვარელი საქმე, სწორედ ეს არის მთელი ჩემი ცხოვრების ფილოსოფია.

> *„ერთხელ ლექციაზე ლექტორმა თქვა და სულ მახსოვს ეს ფრაზა: „პედიატრია და პედაგოგიკა ყველაზე პატრიოტული დარგებია“ - ერთი განაპირობებს ჯანმრთელი თაობის აღზრდას, მეორე - განათლებულის და სწორედ ეს ორია ძლიერი სახელმწიფოს გარანტი*

ნანა აბულაძე

REVOLT ENTERTAINMENT-ის მასტერკლასი - ბათუმში

კომპიუტერული თამაშების შექმნა დღეს ძალიან პოპულარულია, თუმცა საქართველოში ეს დარგი ნაკლებადაა განვითარებული. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტა კომპანიაა, რომელიც ვიდეოთამაშების ქართულ ინდუსტრიაში მოღვაწეობს. მათ შორისაა Revolt Entertainment, რომელმაც 11 მაისს ბათუმის ტექნოპარკში მასტერკლასი ჩაატარა და ახალგაზრდებს გააცნო, როგორ იქმნება კომპიუტერული თამაშები

შეხვედრაზე განიხილეს თემები: თამაშების შექმნა, ანიმაცია, გარემოს ხელოვნება და ხელოვნური ინტელექტი. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მათი მიზანი ახალგაზრდებისთვის აღნიშნული საკითხების უკეთ გაცნობა იყო. კომპანიას, ასევე, აქვს შექმნილი კურსი იმ ადამიანებისთვის, ვისაც კომპიუტერული თამაშების სწავლა სურს და მათ გუნდში ყველა მსურველს ეპატიჟება.

შეხვედრის მიზნებსა და გეგმებზე გვესაუბრა Revolt Entertainment-ის დამფუძნებელი და დირექტორი **გიორგი ჩიტიძე:**

- გვსურდა, ბათუმელი ახალგაზრდებისთვის გაგვეცნო, რომ საქართველოშიც იქმნება კომპიუტერული თამაშები და თუ ვინმეს სურს შესწავლა, ჩვენ ვაძლევთ ამის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე კომპანიის გუნდი მუშაობს თამაშზე სახელწოდებით The Seven Enchantments-ი, რომელმაც შარშან საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საგენტოს 150 000-ლარიანი გრანტი მოიგო. მომდევნო კვირაში ამ თამაშის პროექტის წარდგენას პოლონეთში ვგეგმავთ და ამით ვეცდებით, უცხოელებიც დავაინტერესოთ.

კომპიუტერული თამაშების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ანიმაციას. სწორედ მის მნიშვნელობაზე გვესაუბრა 3D ანიმატორი **შავლეგ ასლამაზიშვილი:**

- ანიმაციის შექმნა ძალიან კომპლექსური საკითხია და საინტერესოა იმ კუთხით, რომ შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. იგი ადამიანს აძლევს საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობას ანიმაციაში. სამწუხაროდ, საქართველოში ეს მიმართულება დიდად ცნობილი არაა. სტატისტიკურად, საქართველოში 3D ანიმატორი მხოლოდ 15 ადამიანია. შესაბამისად, არსებობს მოთხოვნა-მიწოდების პრობლემა. რადგან მოთხოვნა არაა, ადამიანები ამ დარგით არ ინტერესდებიან. შეხვედრაზე ჩემი მიზანი იყო, ანიმაციის კუთხით ადამიანების ცნობიერების ამაღლება. ბევრს ანიმაციის შექმნა რთული საქმიანობა ჰგონია, რაშიც ცდებიან. ეს არის ის, რასაც რეალურ ცხოვრებაში ვხედავთ და ამის გადმოტანა ციფრულ სამყაროში ძალიან მარტივია, უბრალოდ, შრომა და მონდომებაა საჭირო. ჩვენი შეხვედრები ამ მიმართულებით გაგრძელდება და მაქსიმალურად ვეცდებით, საზოგადოებაში ცნობიერება ავამაღლოთ არა მარტო ანიმაციის მიმართულებით, არამედ ვიდეოთამაშების კუთხითაც. გვინდა, ეს სფერო წინ წამოვწიოთ.

კომპიუტერული თამაშები ვერ შეიქმნება გარემოს ისეთი კომპოზიციების გარეშე, როგორიცაა: შენობები, ლანდშაფტები, განათება და სხვა. ამ საკითხზე კომპანია Revolt Entertainment-ის თამაშებში ვიზუალური გარემოს შემქმნელი **თორნიკე თოდრია** საუბრობს:

- კომპიუტერული თამაშებში ჩემი საქმეა, მოთამაშეს მაქსიმალურად კომფორტული სათამაშო გარემო შევუქმნა თამაშის თემატიკიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე ვმუშაობთ თამაშზე The Seven Enchantments, სადაც ჩემი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად საშინელ გარემო შევქმნა და ამით ჰოროორის (საშინელებათა ჟანრი) მოყვარულები ვასიამოვნო. რაც შეეხება ბათუმელ ახალგაზრდებთან შეხვედრას, ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო. მსგავსი შეხვედრების მიზანია, მეტი ადამიანი დავაინტერესოთ კომპიუტერული თამაშების შექმნით და ჩავრთოთ ამ სფეროში, რადგან ამ კუთხით საქართველოში კადრების პრობლემაა.

21-ე საუკუნეში ხელოვნური ინტელექტი ყველა სფეროში ძალიან აქტიურად გამოიყენება. ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობასა და მის რისკებზე საუბრობს Revolt Entertainment-ის ბიზნესდეველოპერი **ბეჭა ავალიანი:**

- ხელოვნური ინტელექტი საკმაოდ დიდი და ტრანსფორმაციული ტექნოლოგიაა ყველა ტექნოლოგიასთან შედარებით, რაც ამ ეტაპზე ვითარდება. მის სრულყოფილ განვითარებას საზოგადოებისთვის დიდი შედეგი მოჰყვება, მაგრამ მას თან ახლავს რისკები, როგორიცაა დეზინფორმაციის გავრცელება, ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის პირადი მონაცემების გამოყენება და ასე შემდეგ. თუ არ მოხდა ამ რისკების გაანალიზება და რაღაც საერთო ჩარჩოში მოქცევა, შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე ნეგატიური შედეგები მივიღოთ. მინდოდა, ამ შეხვედრით ბათუმელებისთვის ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით მსოფლიო მასშტაბით დღეს არსებული მდგომარეობა და ტექნოლოგიური პროგრესი გამეზიარებინა.

თამარ ლამპარაძე

კოლეგა, რომლის კრედო ადამიანისა და საქმის ერთგულება იყო

იმხანად აჭარის მთიანეთს, ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში, კვალიფიციური და განათლებული სპეციალისტები აკლდა. არც იყო გასაკვირი, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ წონიარისელ ოთარ წულუკიძეს სამუშაო რაიონულ გაზეთში, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ მიუჩინეს. თუ გადავფურცლავთ წინა საუკუნის 60-იანი წლების ნომრებს, მრავალ სტატიას, ნარკვევს, რეპორტაჟს ვნახავთ ვენახებიდან და თამბაქოს პლანტაციებიდან, რომელთა ავტორი ოთარ წულუკიძეა

- იმ წლებში ხარაულის საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, - იხსენებს მხცოვანი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი თამაზ აბულაძე, - 4-გვერდიანი რაიონული გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა. მაინტერესებდა იმ ავტორების გაცნობა, რომლებიც სტატიებს ხელს აწერდნენ. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა წლები და... მე და ბატონ ოთარს ერთ სტრუქტურაში მუშაობის პატივი გვექნებოდა. იგი ობიექტური, საქმის მცოდნე, მეგობრებსა და მეზობლებზე მზრუნველი პიროვნება იყო. წლების განმავლობაში წარმატებული კოლმეურნეობის ხელმძღვანელი გახლდათ.

მეც, ამ სტრიქონების ავტორს, ყოფილ კოლეგასთან გულითადი ურთიერთობები მაკავშირებდა. კარგად მახსოვს ის დრო, როცა ზოგიერთებმა სოფელ წონიარისის ცენტრში არსებული ტანკ-მემორიალის კვარცხლბეკიდან ჩამოხსნა და ჯართში ჩაბარება დააპირეს. ის ტანკი აქაური ჯელილ ბერიძის პირადი დანაზოგით იყო შეძენილი და მეორე მსოფლიო ომის წლებსა და შემდგომ პერიოდში თავის ფუნქციას ასრულებდა. საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდეგ იგი ჯელილ ბერიძეს გამოუგზავნეს. მთელი სოფელი და მათ შორის ოთარიც აღუდგა წინ ამ ტანკი-ძეგლის თავისი ადგილიდან წაღებას. ამ ამბავს მაშინ, ნარკვევით - „ჯელილ ბერიძის ტანკი“, გაზეთი „აჭარა“ გამოეხმაურა. ტანკ-მემორიალს ხელი ვეღარ დააკარეს და ის ახლაც სოფლის ცენტრს ამშვენებს. ყოველი წლის 9 მაისს წონიარისელები და მათი ახლობლები გვირგვინითა და ყვავილებით ამკობენ. გამონაკლისი არც წლევანდელი 9 მაისი იქნება, როცა პროგრესული კაცობრიობა გერმანელი ფაშისტების დასამარების 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. მთელ სოფელთან ერთად, ოთარიც გახარებული იყო, რომ ტანკს ხელი ვეღარ ახლეს. მადლობას გვიხდიდა გაზეთ „აჭარის“ რედაქციას, რომ დროული ჩარევით, საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყდა. ისიც არ მავიწყდება, რომ ჯელილ ბერიძის ოჯახიდან წამოსულ მე და ქედის გამგებლის მაშინდელ მოადგილე არსენ ბეჟანიძეს გზაზე გადაგვიდგა და მისი ოჯახიდან მოტანილი ღვინით დაგვლოცა.



ოთარმა წლები შეალია სოფლის ხელმძღვანელად მუშაობას. მას კოლეგიალური ურთიერთობები აკავშირებდა მთიანი აჭარის სოფლების ხელმძღვანელებთან.

- იმხანად, როცა ოთარი წონიარისს თავკაცობდა, მე შუახევის რაიონის სოფელ ტბეთის ხელმძღვანელი ვიყავი, - გვითხრა შოთა აბუსელიძემ, - 80 წელს მივატანე, მრავალ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ოთარი სულ სხვა იყო. ჩვენი ურთიერთობები 1976 წელს დაიწყო. 6 თვის განმავლობაში ერთად გავიარეთ ქალაქ სოხუმში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ოთარი, მე და ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის აგრონომი რეზო ცეცხლაძე ერთად ვეცნობოდით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. არ მავიწყდება დღეც, როცა ოჯახში მიმიპატიჟა. მან და ქალბატონმა ციალამ შესაშური მასპინძლობა იცოდნენ, დასანანია, რომ ოთარს წარსულში ვიხსენებთ - ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაშია მისი ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნები და საგაზეთო სტატიები, რომლებსაც სათუთად ვინახავ.

ყოველმხრივ შემკული პიროვნების მთავარი საყრდენი ოჯახი იყო. მეუღლე ციალა ვარშანიძესთან სანიმუშო ოჯახი შექმნა. ქალბატონი ციალა სოფლის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი იყო. მისი აღზრდილები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წარმატებულად საქმიანობენ. ქალ-ვაჟის გამზრდელი დედა ოჯახის საქმეებს, სამსახურებრივ დატვირთვას უხამებდა სოფელში ჩამოსული სტუმრების მასპინძლობას. წალკოტს (ადგილი წონიარისში) და წონიარისის ისტორიულ ძეგლებს ისეთი სახელოვანი ადამიანები სტუმრობდნენ, როგორებიც იყვნენ: ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ზურაბ გორგილაძე, ნუგზარ ჯაფარიძე (ამ უკანასკნელმა წალკოტს ნარკვევიც მიუძღვნა), ჯემალ ჯაყელი. ქალბატონი ციალა მათი მასპინძელი გახლდათ.

ციალასა და ოთარის შვილებზე - ზეინაბსა და ზვიადზეც გადავიდა დედ-მამის დამოკიდებულება ყოველივე მშობლიურისა და ეროვნული სიწმინდეებისადმი. მშობლების მსგავსად, არც მათ აკლიათ არჩეული საქმისადმი გულისხმიერი და პროფესიული მიდგომა. ზვიადი სამი შვილის მამაა და დიდი რუდუნებით მამისეულ დანატოვარს ეფერება, ბიზნესშიც წარმატებულია. საგანმანათლებლო კერას, სადაც საშუალო განათლება ოთარმა და მისმა შვილებმა მიიღეს, ერთხანს ზეინაბი დირექტორობდა. შემთხვევითი როდია, რომ წონიარისის სკოლის წარმატებულ დირექტორ ზეინაბ წულუკიძეს ბათუმის №25 სკოლის ხელმძღვანელობა ანდეს.

- მიხარია, რომ მშობლებისგან დადებითი თვისებები მივიღე მემკვიდრეობით. ვცდილობ, არ ვუღალატო მათ. მეგობარი მრავლად ჰყავდათ. მამის გარდაცვალებიდან მალე ერთი წელი შესრულდება. მისი თანამედროვენი და კოლეგები ხშირად ტელეფონითა და სოციალური ქსელით გვეხმიანებიან, თანაგვიგრძნობენ მე და ზვიადს. მათ შორისაა ბატონი შოთა აბუსელიძე. მადლობა ყველას. მადლობა გაზეთ „აჭარის“ რედაქციას, რომ წუთისოფლიდან წასულ კოლეგებს არ ივიწყებთ. მე ამ გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ, - გვითხრა ქალბატონმა ზეინაბმა.

ოთარ ცინარიძე

დავით გურგენიძე - მუსიკოსი მეზღვაური ბათუმიდან

*დღევანდელი რესპონდენტი ბათუმელი ახალგაზრდა **დავით გურგენიძეა,** რომელიც მუსიკოსობასა და მეზღვაურობას ერთმანეთს უთავსებს და საკმაოდ კარგადაც. მისთვის ზღვასა და მუსიკას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და როგორც გვეუბნება, მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.*

- როდის დაიწყო თქვენი მუსიკალური კარიერა და როგორ დაემთხვა ეს მეზღვაურობას?

- ვიოლინოზე 7 წლიდან ვუკრავ. ჩავაბარე ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლაში ვიოლინოს განხრით. VI კლასის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ბათუმის რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლაში, პედაგოგ არევიკ სიმონიანთან. სწავლის დროს ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსში. გატაცებული ვიყავი მევიოლინე დავიდ გარეტის შემოქმედებით, რომელიც ასრულებდა ცნობილი კომპოზიციების ქავერ-ვერსიებს. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ელექტრო-საინჟინრო ფაკულტეტზე, რადგან მეზღვაურის პროფესიაც მიტაცებდა.

- რატომ - ვიოლინო?

- რადგან ჩემი უფროსი ძმა საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობდა, დედის სურვილი იყო, მე ვიოლინოზე დაკვრა მესწავლა. დღეს მისი მადლიერი ვარ, რომ ამ პროფესიას დავეუფლე.

- რა შეგრძნებაა, როცა ვიოლინოს მეშვეობით საუბრობთ?

- ვფიქრობ, ნებისმიერი ხელოვანი საუბრობს იმ ენით, რომელ დარგსაც ემსახურება, ჩემს შემთხვევაში კი სიტყვებს ვიოლინოს მეშვეობით გადმოვცემ. განწყობის შესაბამისად ვცდილობ, აღებული ნოტებით გავუზიარო და შევუქმნა მსმენელს ის განწყობა, რასაც იმ მომენტში ვგრძნობ.

- რა ადგილი აქვს მუსიკას თქვენს ცხოვრებაში?

- ჩემი განუყოფელი ნაწილია. არ აქვს მნიშვნელობა, სად ვარ - იგი მუდამ ჩემი მეგზურია. მუსიკა ჩემთვის უბრალოდ საქმიანობა არაა - ეს არის ჩემი სივრცე და საშუალება, გადმოვცე სათქმელი და ემოციები. მიყვარს, ადამიანები ჩემი შემოქმედებით სიამოვნებას რომ იღებენ და სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც არ ვეშვები ამ ყველაფერს.

- როგორ ერწყმის თქვენი მუსიკალური ცხოვრება მეზღვაურისას?

- გემზე დაკავებული ვარ ჩემი ძირითადი პროფესიული საქმიანობით, რომელიც არანაკლებად მიყვარს და მაინტერესებს. სამწუხაროდ, იქ არ მრჩება დრო მუსიკისთვის, მაგრამ ხმელეთზე დაბრუნებისთანავე აქტიურად ვერთვები მუსიკალურ ცხოვრებაში.

- რას ნიშნავს თქვენთვის ზღვა როგორც მუსიკოსისა და როგორც მეზღვაურისთვის?

- მუსიკოსისთვის ზღვა უსასრულო მელოდიაა - ერთდროულად მშვიდიც და მძაფრიც. ტალღების ხმას ვამსგავსებ მუსიკალურ ბგერებს, რაც ხშირად მიბიძგებს რაიმე ახლის შექმნისკენ, შემდეგ ეს ვიოლინოზე გადამაქვს და, საბოლოოდ, ჩემს პატარა კომპოზიციებს ვქმნი, რომლებიც ჩემთან რჩება. როგორც მეზღვაურისთვის, ზღვა ჩემი ყოველდღიურობის ნაწილია - ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ კი ძალიან მკაცრი. ის მასწავლის სიმტკიცეს, მოთმინებასა და შრომის ფასს.

- გაქვთ განცდა, რომ ზღვა და მუსიკა ერთმანეთს ჰგავს?

- ეს განცდა ხშირად მეუფლება, რადგან ორივეში ვპოულობ სიმშვიდეს და ამ ყველაფრით ვიღებ სიამოვნებას, რაც, საბოლოოდ, ჩემს განწყობაზეც აისახება.

- მარტოობის დროს რა უფრო გეხმარებათ - ტალღების ხმა თუ ვიოლინოს მელოდია?

- მარტოობის დროს ჩემი განუყრელი მეგობარი ვიოლინოა, რადგან ის ბავშვობიდან ჩემთან ერთად მოდის და სწორედ მისი მეშვეობით შემიძლია ჩემი გრძნობების გამოხატვა.

- ხომ არ გიცდიათ საზღვარგარეთ მუსიკის შესრულება ან სხვა მეზღვაურებთან ერთად დაკვრა?

- რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლაში სწავლის პერიოდში, სკოლის დირექტორ ნატალია ორაგველიძის ხელშეწყობით, არაერთხელ ვყოფილვარ გერმანიაში. იქ ვმონაწილეობდი კონცერტებში როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორკესტრთან ერთად. ისიც შემიძლია გავიხსენო, რომ გემზე პირველი კონტრაქტის დროს, ახალი წლის ღამეს, ჩემი ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრთან ერთად შევასრულე ცნობილი მუსიკალური კომპოზიცია, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

- რა უფრო გაბედნიერებთ - ზღვაში ყოფნა თუ სცენაზე გამოსვლა?

- ვფიქრობ, თანაბრად. ზღვას იმდენად მივეჩვიე, გემზე ყოფნისას არანაირ დისკომფორტს არ განვიცდი, ხოლო სახლში ყოფნის დროს სცენაზე გამოსვლას ვერ ველევი, რადგან ორივე პროფესია თანაბრად მიყვარს და მაინტერესებს.

- როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს მეზღვაურისა და მუსიკოსის პროფესიები ერთმანეთს?

- ორივეს სჭირდება დისციპლინა, მონდომება, შრომა და ყოველდღიური განვითარება.

- მუსიკალური ბენდის წევრი ხართ. გვითხარით ამის შესახებ.

- ბენდი Ocean Drive 2022 წელს საზღვაო აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ჩვენი იდეა იყო, შექმნილიყო განსხვავებული პროდუქტი, რომელსაც მივაწვდიდით მსმენელს, სწორედ ამ იდეამ გაგვაერთიანა ბათუმელი მუსიკოსები. ბენდი მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს საუკეთესო პროდუქტის შექმნაზე, რასაც მოჰყვა ის, რომ შარშან ზაფხულის სეზონისთვის ჩავწერეთ საუკეთესო პრომოვიდეო და ზამთრის სეზონისთვის შევქმენით საავტორო სიმღერა სახელწოდებით „თოვს“, რომლის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში იგეგმება.

- რას გვეტყვით ბენდის მიღწევებსა და გეგმებზე?

- Ocean Drive შარშან, ზაფხულში წარმატებით გამოვიდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში „ღვინის ფესტივალზე“. დღესდღეობით მაქსიმალურად ვმუშაობთ პროგრამის განახლებასა და საავტორო სიმღერის შექნაზე. ზაფხულისთვის ვემზადებით ახალი შემართებითა და იდეებით.

- დაბოლოს, მაინც რას უკავშირდება თქვენი ყველაზე სანუკვარი სურვილები - ოკეანის გადაცურვას თუ სცენაზე დაკვრას?

- ჩემი სურვილია, ვიმოგზაურო სხვადასხვა ქვეყანაში, გავეცნო მათ კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას, დავათვალიერო ღირსშესანიშნაობები... რა თქმა უნდა, მუსიკალური კუთხითაც საინტერესო იქნებოდა ეს ქვეყნები ჩემთვის, მაგრამ თუ მკითხავთ, უფრო საითკენ მიმიწევს გული, გიპასუხებთ - ეს ზღვაა.

თამარ ლამპარაძე

ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-16 საერთაშორისო გამოფენაზე

ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-16 საერთაშორისო გამოფენა ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ საზეიმოდ დაიხურა. დასკვნით ღონისძიებაზე გამოფენის ორგანიზატორმა კომპანიამ „EXPO BATUMI“ ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადასცა, სხვადასხვა კომპანიამ კი საჩუქრები გაათამაშა. გამოფენაში წელს 6 ქვეყნის 90 კომპანია მონაწილეობდა

როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, გამოფენის მიზანი სხვადასხვა ქვეყანაში ტურისტულ სფეროში მოღვაწე კომპანიების დაახლოება და სამომავლო თანამშრომლობაა. გამოფენაში მონაწილეობდა ასევე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიც, რომელსაც რეგიონი ოთხი სეზონის იმიტაციით ჰქონდა წარმოდგენილი. ვიზიტიორებს შეეძლოთ, ერთ სივრცეში ენახათ როგორც მთიანი აჭარის, ასევე, საზღვაო მიმართულება. საკუთარი მუნიციპალიტეტები სტენდებსა და პატარა პავილიონებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებმაც წარმოადგინეს. ჩვენთან საუბარში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსმა გოჩა ხორავამ აღნიშნა, რომ ამ მუნიციპალიტეტის მეწარმეები გამოფენაში წელს მეოთხედ მონაწილეობენ.

- ძალიან ნაყოფიერია ჩვენი ყოველი მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენაში. სწორედ ამიტომ წელს გაფართოებული შემადგენლობით გეწვიეთ. ჩვენს სტენდს ბევრი ვიზიტიორი სტუმრობდა. წარმოდგენილი გვაქვს როგორც ხელნაკეთი ნივთები, ასევე კულინარიული შედევრები, - გვითხრა ბატონმა გოჩამ.

ბაღდათის სტენდს, მართლაც, ბევრი ვიზიტიორი ჰყავდა. აქ დააგემოვნებდით მსოფლიოში ერთადერთ იოგურტს, რომელიც ანწლისგან მზადდება. მისი შემქმნელი მეწარმე ლელა ქარაიაა.

- ბავშვობიდანვე ჩემი ჰობი კულინარიაა. თავიდან დავიწყე ძველი რეცეპტების გაცოცხლება. კულინარია ხელოვნების დონეზე ავიყვანე. მეგრელი ვარ, იმერეთში გათხოვილი, ამიტომ იმერული კულინარიაში მეგრული ელემენტები შემაქვს და განსხვავებულ გემოებს ვქმნი. აღნიშნული ანწლის იოგურტიც ასე შევქმენი. მალე დავაპატენტებ, მსოფლიოში მას ანალოგი არ აქვს. მისით ყველა დავაინტერესე. რესტორნები მთხოვენ მათ მენიუში შეტანას, მაგრამ მინდა, ინვესტორი ვნახო და სხვა კუთხით გავფართოვდე, - გვითხრა ლელა ქარაიამ.

ბაღდათთან ერთად საკუთარი მუნიციპალიტეტი ჭიათურასაც ფართოდ ჰქონდა წარმოდგენილი. ისინი გამოფენაში პირველად იღებდნენ მონაწილეობას. როგორც ჭიათურის ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა თინათინ კაპანაძემ გვითხრა, მსგავსი ტიპის გამოფენებზე საკუთარი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ ასეთი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა მათთვის საუკეთესო გამოწვევაა.

ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-16 საერთაშორისო გამოფენამ ურთიერთგაცნობის, მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვის საზეიმო ატმოსფეროში ჩაიარა. ორგანიზატორები სტუმრებს 2026 წლამდე დაემშვიდობნენ. დევიზი უცვლელი რჩება - საერთაშორისო და შიდა ტურიზმს „EXPO BATUMI“ აერთიანებს.

ნატია იაშვილი

საქართველოს ჩემპიონატს ჭადრაკში ბათუმმა უმასპინძლა

აჭარამ სამი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა

პირველი გვერდიდან

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დააჯილდოვეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, ფიდეს სპეციალურ დავალებათა დირექტორმა აკაკი იაშვილმა, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირაკლი აბულაძემ, აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიუარაძემ, მაღალი მიღწევების სპორტის განყოფილების უფროსმა ზურაბ ჭყონიამ, სასტუმრო „ჩაოს“ დირექტორმა თამაზ მახარაძემ, სასტუმრო „იბის სტაილის“ წარმომადგენლებმა, საერთაშორისო დიდოსტატებმა... ჩემპიონატის მთავარი მსაჯი მარიკა ჯაფარიძე გახლდათ, რომელმაც ჩემპიონატის დახურვაზე გამარჯვებულები დაასახელა.

- საქართველოს ჩემპიონატი 8-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ერთ-ერთი პრესტიჟული ღონისძიებაა და ვფიქრობ, სწორად მივდივართ - ყველაფერი თბილისში არ უნდა ჩატარდეს, რეგიონებში უნდა გავიტანოთ, რაც ხელს უწყობს ჭადრაკის პერიფერიებში განვითარებას. 300-მდე ბავშვი მონაწილეობდა ასპარეზობაში. ძალიან კარგად ჩაერთო ღონისძიებაში აჭარის ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი - სალომე მელია), სასიხარულოა, რომ ყველა კმაყოფილია. საპრიზო ადგილებზე გასულმა სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საგზურები მოიპოვეს, 8-დან 12 წლამდე სპორტსმენებმა - მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურები, რომელსაც ბათუმი ზაფხულში უმასპინძლებს. მასზე დაახლოებით 40 ქვეყანა იქნება წარმოდგენილი და ძალიან კარგია, რომ ყველა ეს ბავშვი დაფინანსდება, - გვითხრა აკაკი იაშვილმა.

- ბათუმმა წარმატებით უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ჩვენთან ასეთი ჩემპიონატი შარშანაც გაიმართა, მაგრამ წელს ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ერთად იყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, ასეთ დროს მეტ ადგილობრივ სპორტსმენს ეძლევა ჩემპიონატში მონაწილეობის შესაძლებლობა. მადლობა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ამ შესაძლებლობის მოცემისთვის. წელს აჭარაში ჭადრაკის მხრივ დატვირთული წელი გვაქვს. ბათუმში სამი მნიშვნელოვანი ტურნირი გაიმართება - ბავშვთა მსოფლიო თასი, ქალთა მსოფლიო თასი, ევროპის გუნდური ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ეს ჩემპიონატიც მნიშვნელოვანი იყო. მადლობა მხარდამჭერებს. ფაქტობრივად, შეუძლებელია ჭადრაკის (სპორტის ნებისმიერი სახეობის) განვითარება მხარდაჭერის გარეშე, მოხარული ვარ, რომ აჭარის წარმომადგენლებმა სამი მედალი მოიპოვეს, - თქვა ჩვენთან საუბარში სალომე მელიამ.

მანანა კიკიშვილი

„უკრაინა ამ დროისთვის არის ერთადერთი გარანტი ევროპის, განსაკუთრებით კი საქართველოს და მოლდოვის უსაფრთხოების კუთხით“

მე-3 გვერდიდან

- ექსპერტთა ნაწილის აზრით, ოპოზიციის არათანმიმდევრულობას ისიც ცხადყოფს, რომ მკაფიოდ არ საუბრობენ, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში. ეს რისი მანიშნებელია?

- იმის, რომ არ შეიძლება ყველა პარტია ერთ თარგზე მოიჭრას. ყოველ პარტიას ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესში თავისი გათვლა და სტრატეგია აქვს. თუ მოწინააღმდეგეს წინასწარ გააცნობ შენს ყველა გათვლასა და სტრატეგიას, მას უპირატესობას მიანიჭებ. ასე რომ, ეს შედარებით ნაკლებად პრობლემური საკითხი მგონია.

- სხვა საკითხებსაც შევეხოთ: როგორ აფასებთ აშშ-ის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს საგარეო პოლიტიკაში?

- აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი გამოირჩევა ამა თუ იმ საკითხისადმი არათანმიმდევრული და ქაოსური მიდგომებით. შესაბამისად, განვლილი 100-დღიანი მმართველობის პერიოდში მისმა ქმედებებმა გამოიწვია გარკვეული უკუქმედებებიც პარტნიორების მხრიდან. ეს განსაკუთრებით აისახება აშშ-ევროპის და აშშ-კანადის მოკავშირეობაზე. ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის განცხადებებმა როგორც ევროპის ქვეყნებისთვის, ასევე, კანადისთვის თვალნათელი გახადა, რომ პარტნიორობა და მოკავშირეობა როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო საკითხებში, რომელიც რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის, კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა. ამის დასტურად შეიძლება დავასახელოთ ევროპის ქვეყნების მხრიდან სამხედრო ბიუჯეტის მოცულობების მკვეთრი ზრდა რიგ ევროპულ ქვეყნებში და კანადის 28 აპრილის არჩევნებიც. ამ არჩევნებში ისევ კანადის ლიბერალურმა პარტიამ და, შესაბამისად, მარკ კარნიმ გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის განცხადებებამდე კანადის 51-ე შტატად შემოერთების საკითხზე კანადის კონსერვატიული პარტია აშკარად ლიდერობდა გამოკითხვებში. შემაჯამებლად კი შეიძლება ითქვას, რომ ტრამპის ამჟამინდელი მმართველობის სტილი, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, თუ ვინმეს აზარალებს (პარტნიორების გარდა), ეს, უპირველესად, თავად აშშ და მისი, როგორც გლობალური აქტორის, იმიჯია.

- რამდენად მოსალოდნელია, აშშ რუსეთის მოთხოვნებს (გავლენის სფეროების გადანაწილება პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზიანოდ) დათანხმდეს?

- განვლილი 100 დღე აჩვენებს, რომ დონალდ ტრამპი, როგორც ეგრეთ წოდებული სავაჭრო ომის დაწყების საკითხებში, ასევე, რუსეთის ომის საკითხზე უკრაინაში საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. მას, უბრალოდ, არ გააჩნია თანმიმდევრული გეგმები, თუ როგორ გაზარდოს ამერიკული ინდუსტრია, ან/და როგორ დაასრულოს რუსეთის ომი უკრაინაში. არ ჩანს, რა თანმიმდევრობით მოქმედებს ის საამისოდ. როგორც თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში გათვითცნობიერებული სპეციალისტები განმარტავენ, მხოლოდ სავაჭრო ტარიფების დაწესება ამა თუ იმ ქვეყანასთან არ არის პირდაპირ კავშირში ინდუსტრიის ზრდასთან და პირიქით - უფრო საზიანოც შეიძლება აღმოჩნდეს. იგივე ითქმის რუსეთის ომზეც უკრაინაში - მართალია, მან წინასაარჩევნო კამპანიისას დააანონსა ამ ომის დასრულება რამდენიმე დღეში, თუმცა ამას წინ ისიც თქვა, რომ ეს უტრირება იყო, ასევე ითქვა ისიც, რომ თუ მხარეები აშშ-ის პრეზიდენტის პირობებს არ დათანხმდებიან, აშშ საერთოდაც გავა მოლაპარაკებების პროცესიდან. კონკრეტული სტრატეგიის უქონლობა და ასეთ პრინციპულ საკითხებში მხოლოდ გარიგებების იმედად ყოფნა ქმნის ნიადაგს იმისთვის, რომ პუტინისნაირი სპეცსამსახურელისთვის ტრამპი შეიძლება მარტივად მანიპულირებადი სუბიექტი აღმოჩნდეს, რაც ნამდვილად აჩენს საფრთხეს, რომ პუტინს ჰქონდეს მცდელობები პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენების ხელახლა აკუმულირების კუთხით, თუმცა ეს - მოკლევადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდში კი, მიმაჩნია, ძლიერი ევროკავშირი, ძლიერ და პრინციპულ კანადასთან ერთად, მაინც დააფიქრებს აშშ-ს იმაზე, რომ გადახედოს თავის პოზიციებს და იყოს უფრო პრინციპული იმ პოტენციური ცივილიზაციური საფრთხის მიმართ, რასაც წარმოადგენს ამჟამინდელი კრემლის რუსეთი.

- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ევროპის და, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი?

- გარკვეულწილად ასეა! უკრაინა ამ დროისთვის არის, ფაქტობრივად, ერთადერთი გარანტი ევროპის, განსაკუთრებით კი საქართველოსა და მოლდოვის უსაფრთხოების კუთხით. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ცალკე ჭრილში შეიძლება განხილვა ისეთი ქვეყნებისა, როგორებიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და კიდევ ცალკე - თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. რჩება ბელარუსი, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე ათწლეულებია, თანაარსებობს რუსეთთან და მისი „ქოლგის“ ქვეშაა! საბედნიეროდ, ეს მოცემულობა გაცნობიერებული აქვთ ევროკავშირის ქვეყნებს, დიდ ბრიტანეთს და კანადას, რომელთა იმედი გრძელვადიან პერიოდში მე ნამდვილად მაქვს.

ლაშა ხომერიკი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/05/25, 17 ᵃᵃ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ფესტივალი - „გადარჩენისთვის“

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით, ბათუმი ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილ ფესტივალს „გადარჩენისთვის“ მასპინძლობს

ფესტივალი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გუშინ გაიხსნა და ორი დღეს გაგრძელდება. ღონისძიების ფარგლებში, მაყურებელი სხვადასხვა თემატურ ლიტერატურასა და ხელოვნების ნიმუშებს გაეცნობა, ნაჩვენები იქნება ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმებიდან.

ფესტივალში მონაწილეობენ სასულიერო პირები, საქართველოს ტაძრების მგალობლები, სალოტბარო სკოლების მოსწავლეები, მუსიკოს-შემსრულებლები და მსახიობები.

- 2018 წელს, წმინდა სინოდის დადგენილებით, 12 მაისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ გამოცხადდა. თავდაპირველად იგი ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე იყო და შემდეგ ეს მნიშვნელოვანი მოვლენაც დაემატა. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია იმ პატივის კიდევ ერთხელ გასააზრებლად, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისშობლის წილხვდომილობით

გვერგო. საქართველოს მთავრობამ 12 მაისი ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა, შესაბამისად, ეს დღე, გარდა რელიგიურისა, კულტურული და სახელმწიფოებრივი ღირებულების მქონეცაა. ფესტივალის დაარსება ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ დღესასწაულის პოპულარიზაცია, ამაღლდეს ცნობიერება საზოგადოებაში და გავძლიერდეთ რწმენაში, - გვითხრა დეკანოზმა ილია ხინიკაძემ.

ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მგალობელთა გუნდი, ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრი „მთიები“, ბათუმის ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სალოტბარო სკოლა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჭახელაში არსებული მალაყმაძეების ფოლკლორული ოჯახი და მომღერალი სოფო ხალვაში. ფესტივალის სტუმრებს საჩუქრად ხატები და სუვენირები გადაეცათ.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი ფესტივალი „გადარჩენისთვის“ დღეს დასრულდება.

მანანა ტაკიძე

ბათუმის თოჯინების თეატრი ყაზახეთში მიემგზავრება

სპექტაკლით „ო-ჯახი“ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი 20 მაისს ყაზახეთში მიემგზავრება. იგი რეჟისორების - ნიკოლოზ საბაშვილისა და ირაკლი კიკვაძის პირველი ერთობლივი ნამუშევარია

პრემიერა შარშან, 23 სექტემბერს შედგა, რომლითაც ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი და მიმდინარე 88-ე თეატრალური სეზონი გაიხსნა. თეატრი, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ სპექტაკლითაა მიწვეული ყაზახეთის ქალაქ ალმათში, თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალ „ორტეკეს“ VII სეზონზე. ფესტივალის ორგანიზატორები არიან ყაზახეთის რესპუბლიკის კულტურისა და ინფორმაციის სამინისტრო, კულტურის კომიტეტი და კორეის რესპუბლიკის აკადემიური სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი.

სპექტაკლ „ო-ჯახის“ ჩვენება ყაზახეთში 22 მაისს გაიმართება. ფესტივალი საკონკურსო ფორმატისაა, 21 მაისს გაიხსნება და 25 მაისს დაჯილდოების ცერემონიით დაიხურება.

სცენიდან წარმოდგენილი ამბავი მოგვითხრობს იმ ადამიანების შესახებ, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება ერთფეროვანია, ამ ოჯახში დაწესებულია ჩარჩოები და დოგმები. სწორედ ამ ყოფაში იბადება გოგონა, რომელსაც მათ ცხოვრებაში შემოაქვს ფერი და არღვევს მიუღებლობის ყველანაირ ზღვარს. ფილოსოფიური მასშტაბით განზოგადოებული ამბავი გვაფიქრებს მნიშვნელოვან თემებზე და ამავდროულად, გვთავაზობს სანახაობრივად დატვირთულ წარმოდგენას. სპექტაკლის მხატვრობა გვამოგზაურებს იქ, სადაც იშლება ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის. მოვლენათა რიგის ცვალებადობა ქმნის სპექტაკლის დინამიკას. მსახიობების პლასტიკა, გამომსახველობითი ოსტატობა, თამაშის ხერხი, ორიგინალური მუსიკა და რეჟისორის კონცეფციის ერთობლიობა დაუვიწყარ სანახაობას გვთავაზობს.

სპექტაკლის სცენოგრაფი და მუსიკის ავტორია ნიკოლოზ საბაშვილი, მხატვარ-შემსრულებელი - გიორგი გოგიტიძე, კოსტიუმების მხატვარი - დავით ტაკიძე, ხმის რეჟისორი - ლევან ხაზიური, რეჟისორის თანაშემწე - ირაკლი იორამაშვილი.

მონაწილეობენ მსახიობები: სალომე ცაგურია, რევაზ ხოფერია, დიანა ჩახუნაშვილი (მოწვეული მსახიობი), ქეთევან ეგუტიძე და ალექსანდრე გაბაიძე.

მარიამ ხითარიშვილი

„საფეხურების მეთოდი“

ასე ეწოდებოდა ჭადრაკის სწავლების სემინარს, რომელსაც ბათუმმა მეორედ უმასპინძლა. პროექტის ფინანსური მხარდამჭერებია საქართველოს სპორტის სამინისტრო და „პაშაბანკი“, აჭარის რეგიონში - აჭარის სპორტის დეპარტამენტი და აჭარის ჭადრაკის ფედერაცია

შარშან ბათუმში, საქართველოს ჭადრაკის ისტორიაში პირველად, მწვრთნელთა ფორუმი ჩატარდა, რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონიდან მონაწილეობდნენ ჭადრაკის მწვრთნელები. სემინარზე ჭადრაკის სწავლების ახალი მეთოდის პრეზენტაცია გაიმართა. ესაა ჰოლანდიელი სპეციალისტის მეთოდი, რომელიც ექვს წიგნს და 11 რვეულს მოიცავს, იგი ძალიან საინტერესო და აპრობირებული მეთოდიკაა საჭადრაკო სამყაროში ბავშვების სწორად აღსაზრდელად. ასეთი სემინარები პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას აძლევს. მეთოდის დადებითი მხარე ისაა, რომ პირველივე გაკვეთილიდანაა გათვლილი, ბავშვებმა რის შემდეგ რა უნდა ისწავლონ და, რაც მთავარია, მოცემულია, რა შედეგს უნდა მიაღწიონ ერთ თვეში, ორში და ასე შემდეგ, ასევე, კონტროლდება საგაკვეთილო პროცესი.

წელს გამართულ მწვრთნელთა სემინარებში მონაწილეობა 21-მა პედაგოგმა მიიღო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან, რომლებიც შარშან ჩაერთნენ პროექტში და უკვე დაიწყეს ამ მეთოდით მოჭადრაკეთა აღზრდა.

- მნიშვნელოვანია, რომ ბათუმელმა მწვრთნელმა ალექსი ტერ-კარაპეტიანმა ამ მცირე დროში უკვე მიაღწია შედეგს - ის ოთხი თვე ამეცადინებდა ბავშვს. ჭადრაკის შესწავლა ნულიდან დააწყებინა და აჭარის ასაკობრივ ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს წიგნები იმ პედაგოგებს, რომლებიც სემინარებს დაესწრნენ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ უსასყიდლოდ გადასცა. სწავლების ახალი მეთოდი შარშან დაინერგა და მჯერა, რომ ის ძალიან კარგ შედეგს გამოიღებს. მთავარია, რომ ბავშვების განვითარება პროფესიონალურ დონეზე მოხდება. სემინარის მენტორი სინგაპურის საჭადრაკო აკადემიის მწვრთნელი, ფიდეს ტრენერი ნატალია ეძგვერაძე გახლდათ. „საფეხურების მეთოდიკა“ ქართულ ჭადრაკში სისტემური რეფორმის ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ახალი, წარმატებული თაობის აღზრდას ისახავს, - გვითხრა აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ.

სემინარის მონაწილეებმა შთაბეჭდილება გაგვიზიარეს.

ანასტასია მახათაძე, ჭადრაკის მწვრთნელი ბათუმიდან:

- ვმონაწილეობდი მწვრთნელთა გადამზადების სემინარში, რომელიც საფეხურების მეთოდით საჭადრაკო გაკვეთილების ჩატარებას და პროექტის მონიტორინგს ითვალისწინებდა. ჭადრაკის შესწავლაში ინოვაციური მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვინაიდან ის შედეგზეა ორიენტირებული. ბავშვებისთვის აღნიშნული მეთოდით გაკვეთილის ჩატარება ძალიან საინტერესოა, ამავდროულად, სახალისოც. იმედი გვაქვს, რომ ამ მეთოდით გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან კარგი ახალგაზრდა თაობა აღიზრდება.

ნესტან მახაჭაძე, ქედისა და ხელვაჩაურის სასპორტო სკოლების ჭადრაკის მწვრთნელი:

- 16 წელია ჭადრაკის მასწავლებლად ვმუშაობ. აღვზარდე აჭარის ჩემპიონები, ასევე, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები. მაქვს საკმაო გამოცდილება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჭადრაკის სწავლების ამ ახალ მეთოდიკას გავეცანი და ამასთან დაკავშირებით ტრენინგები ჩაგვიტარდა, სწავლების მეთოდიკა შევცვალე, რამაც საგაკვეთილო პროცესი შედეგზე, კიდევ უფრო ორიენტირებული გახადა ბავშვებს უფრო მეტი სასწავლო ლიტერატურა აქვთ. მათთან სხვადასხვანაირად ვმუშაობ. ვფიქრობ, მომავალში უკეთესი შედეგი გვექნება.

მარიკა ჯაშარიძე, ფიდეს ინსტრუქტორი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი:

- სემინარი ჩაგვიტარა ნატალია ეძგვერაძემ. წარმოდგენილი იყო თვალსაჩინო მასალები. ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე, დიდი გამოცდილების მქონე მწვრთნელია, თანაც სხვადასხვა აზრის მოსმენა, ახალი მეთოდების, პრინციპების გააზრება ყოველთვის მნიშვნელოვანია. მჯერა, ეს ახალი მეთოდი ძალიან დიდ სამომავლო საქმეს ჩაუყრის საფუძველს. ამ საფეხურებით ბევრი პერსპექტიული პატარა მოჭადრაკე შეისწავლის საჭადრაკო სიბრძნეს.

ნატალია ეძგვერაძე, საერთაშორისო დიდოსტატი, ფიდეს ტრენერი.

- შარშან ამ ახალი სისტემის პრეზენტაცია ჩატარდა, სადაც მსმენელებს ძირითადი პრინციპები გავაცანი. ახლა, მეორე ეტაპზე, გავიგეთ, სწავლების დროს რა შეკითხვები გაუჩნდათ, რა პრობლემები შეექმნათ, რა არ მოსწონთ ან ვერ გაიგეს. ეს მართლაც უნიკალური მეთოდია - ჭადრაკის სწავლების პედაგოგიური პრინციპების და ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტების ნაზავი. შარშან პრეზენტაცია მხოლოდ ბათუმში ჩავატარეთ და პედაგოგები ყველა რეგიონიდან მოვიწვიეთ, წელს მხოლოდ აჭარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ასეთივე სემინარებს სხვა რეგიონებშიც ვატარებთ.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, მონაწილე მწვრთნელებს ხარისხის სერტიფიკატები გადაეცათ, რაც მათ ახალი სასწავლო მეთოდიკის „საფეხურების“ ლიცენზიის აღებაში დაეხმარებათ.

მანანა კიკიშვილი